# სარბიელი

სპორტული გაზეთი   შაბათი 14 ივნისი 2003 №109 (1880)   ფასი 50 თეთრი





ბადრი კვირიკაძის ფოტო

# ეშველა ლომაიას?

## საქართველოს ნაკრების მეკარე ანდრეი ბიბამ კიევის დინამოში წაიყვანა

# ჩემპიონი



# აზმაიფარაშვილმა ევროპა დააშამათა

ოდესღაც ქართველებს მსოფლიოს ჩემპიონი ქალები გვყოლია. ძველი დიდების ჟამმა თითქოს ჩაიარა, მსოფლიო საჭადრაკო დაფასთან ჩვენმა მანდილოსნებმა პოზიციები დათმეს, მაგრამ ქართული სკოლა იოლად არ ნებდება. ქალი ჩემპიონები თუ „დავკარგეთ", სამაგიეროდ, ვაჟებში ევროპის ჩემპიონი შევიძინეთ. სტამბოლში გუშინ დამთავრებულ ევროპის პირველობაზე ქართველმა დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა პირველი ადგილი დაიკავა.

„ჩემს კარიერაში ასეთი შედეგი ჯერ არ მქონია და საერთოდაც ქართველ ვაჟებში პირველია ასეთი წარმატება. ახლა ყველაფერი მოგებული მაქვს და მსოფლიოს ჩემპიონობა დამრჩა, მაგრამ სანამ გარი კასპაროვი არსებობს, ამის გაკეთება ძნელი იქნება." ევროპის ახალი ჩემპიონის ნათქვამის მეორე ნახევარი, ცხადია, ხუმრობაა, მაგრამ მისი ახალი ტიტული კი სულაც არაა ხუმრობა.

# ბარსელონა შპირებელეს ყოველისა!

ქართველები არ ვართ? ჰოდა, ჩვენზე უკეთ ვინ იცის, რომ წინასაარჩევნოდ ხალხს ოქროს კოშკები უნდა აუგო, ანკესზე წამოაგო და მერე, როცა აგირჩევენ ან აიძულებ, რომ აგირჩიონ, არაფერი არ უნდა შეუსრულო. თორემ ერთ, თუნდაც სულ უბრალო რამეს რომ შეუსრულებ, მადაზე მოსული ხალხი სხვა დაპირებების შესრულებასაც მოგთხოვს და ეგრე სადაა — თოვლის ბაბუა ხარ, შენი სახრავი ხალხს დაუთმო?

მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ წინასაარჩევნო დაპირებები სრულდება — ოღონდ, სადაც ასეთი რამეები ხდება, ჩვენ იქ არ ვცხოვრობთ. ასე, მაგალითად: ფლორენტინო პერესი მადრიდელებს ლუიშ ფიგუს დაჰპირდა და დახეთ, მიუყვანა კიდეც. ამის მერეა, საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტობაზე მეოცნებეები იძულებულები რომ არიან, დაპირებები უხვად არიგონ და თუ აირჩევენ, დაპირებები შეასრულონ.

ჰოდა, ამიტომაც მომავალი სეზონიდან „ბარსელონაში" ბლომად ახალი სახეები გამოჩნდება. ხვალ „ბარსელონას" საპრეზიდენტო არჩევნებია და ვინც გინდა მოიგოს, დაპირების შესრულება მოუწევს. დაპირებით კი ექვსივე პრეტენდენტი ხალხს ბევრ ფეხბურთელს ჰპირდება. დევიდ ბექემიო, კრისტიან ვიერიო, როი მაკაიო, კრისტიან კივუო, მატია კეჟმანიო და ვინ მოთვლის, კიდევ ვის აღარ. ფაქტობრივად, ეს პრეზიდენტის კი არა, ფეხბურთელების არჩევნები გამოდის. ბექემი მოგწონთ? მაშინ ხუან ლაპორტას მიეცით ხმა და თუ კრისტიან ვიერს ამჯობინებთ, ხაიმე ლაურადო ყოფილა თქვენი კანდიდატი.

თუმცა თქვენი და ჩვენი არა, კატალონიელების. თქვენი და ჩვენი კანდიდატები კი ოქროს მთებს გვიშენებენ, მერე ხრავენ და ხრავენ...

## ლაპორტა თუ ბასატი?

## აირჩევს კატალონია ბექემს?



# შუშაკი თუ არა?

**ერთი საინტერესო** ფაქტით დავიწყოთ. მატჩის დასრულებიდან 45 წუთის შემდეგ ირლანდიელი ფეხბურთელები გასახდელიდან ისეთი დაქანცულები გამოლაგდნენ, ავტობუსის კიბეზე ფეხის ადგმა უჭირდათ. იქამდე კი მათი მწვრთნელის ბრაიან კერის პრესკონფერენცია იყო, რომელმაც ირლანდიელი ჟურნალისტის ერთ-ერთ კითხვას ასე უპასუხა:

— შეგიძლიათ, გასახდელში შებრძანდეთ და გასავათებული ფეხბურთელები ნახოთ. არ მეგონა, საქართველოს ძლევას ბიჭები ამდენ ენერგიას თუ შეალევდნენ. გუნდს ფიზიკურად გაუჭირდა, ეს მეტოქის დამსახურებაა. თბილისური მატჩისას ცოტა სხვანაირად იყო. მე მომეწონა საქართველოს ნაკრები.

შეგახსენებთ, ასე კერმა ჩვენს ირლანდიელ კოლეგას უპასუხა. კერამდე კი ჟურნალისტებს ივო შუშაკი გვესაუბრა და მისი ნათქვამიდან ერთი ნიშანდობლივი წინადადების გამოყოფა გვგონია აუცილებელი — დღეს საქართველოს ნაკრებს საქართველო არ შეურცხვენია, ჩემი ბიჭების მადლობელი ვარ. მათ იბრძოლეს და შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენეს — თქვა შუშაკმა.

მოგვიანებით, დუბლინ-თბილისის ექვსსაათიან ავიაგზაზე „ლენსდაუნ როუდზე" ნამყოფი ქართველობა ჩავლილ მატჩს იხსენებდა და თამაშს არჩევდა. არავის დასცდენია სიტყვა — ზერელე, გუნდზე არავის უთქვამს, განუსწავლელიაო, არავის შერცხვენია იმისა, რომ „ლენსდაუნის" მწვანე სკამზე იჯდა და თავისი გუნდის თამაშს უცქერდა. თბილისში ჩამოსულს კი რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ირლანდიაში საქართველოს ნაკრებს ფეხბურთი არ უთამაშია, ამათი საშველი არ იქნებაო. იქნებ ვცდები, მაგრამ 11 ივნისის მატჩის მერე საფეხბურთო საქართველოში განწყობა ტრაგიკულია. არადა, სხვანაირად მგონია. ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა დუბლინში ითამაშა და წააგო, წააგო ისე, როგორც აგებენ ხოლმე, ქართველებმა ითამაშეს ფეხბურთი, მაგრამ მეტოქეს ვერ აჯობეს. ერთი სიტყვით, წააგეს და ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა...

⚽ ⚽ ⚽

არ მეგულება ქვეყანაზე გუნდი, რომელიც დაშლილ-დაქუცმაცებული, უჯიგრო და უცოდინარი იყოს და ერთ თვეში ისე გარდაიქმნას, მის თამაშში ნაკლი არ ჩანდეს, აიწყოს და შეიკრას ისე, ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ტოლ-სწორად ეთამაშოს. შუშაკი ჯადოქარი არ არის და მისგან სასწაულის მოლოდინში არ უნდა ვყოფილიყავით. ჩვენთვის ისიც დიდი ხეირია, დუბლინში რომ ნაკრებს ისეთი ფეხბურთი ათამაშა, ბევრ ირლანდიელს ჩვენების საქებარი სიტყვა ათქმევინა. ის ხომ მთლად უჩვეულო იყო, ჩვენთვის, რომ ქომაგი ტელევიზორს მოგების იმედით რომ მიუჯდა. ისიც საკითხავია, რომელი ლოგიკით უნდა მოეგო აუცილებლად საქართველოს დუბლინში? იქ სადაც 2002 წლის ოქტომბრამდე, შვეიცარიასთან მატჩამდე, ირლანდია კარგა ხანი გუნდს არ ჰყავდა დამარცხებული, რატომ უნდა ემარჯვა უსიკვდილოდ საქართველოს იქ, სადაც, საერთო ალიარებით, ფეხბურთის თამაში დღესდღეობით და უკვე 15 წელიწადია, ჩვენებზე უკეთ იციან. იციან კი იმიტომ, რომ ასწავლიან და სწავლობენ, მწვრთნელი რომ იტყვის, ისე კეთდება და ძირითად შემადგენლობაში ვერმოხვედრის შემდეგ გუნდიდან არავინ გარბის და სათადარიგოობა არ ეთაკილება. საქართველოში სწორედ მასწავლებლის ჩამოყვანა გვქონდა სანატრელი. ვინც აქამდე, ხუთი წლის წინ ჩამოიყვანეს, ის რამდენიმე თვეში გააბუნძულეს. ახლა კი მეორეა, ფეხბურთელს ფეხბურთის თამაშს რომ უხსნის, უსახელოს, მაგრამ ნიჭიერსა და გამოსადეგს სახელიანს, მაგრამ კონკრეტული მომენტისთვის გამოუსადეგარს არ ამჯობინებს და უკმაყოფილონი უკვე მისკენაც იშვერენ ხელებს.

⚽ ⚽ ⚽

ნამატჩევს შუშაკმაც აღნიშნა, თუმც ისე ხაზგასმით არა, როგორც ამას ჩვენი მწვრთნელები აკეთებენ ხოლმე. ეროვნულ გუნდს ირლანდიაში აკლდნენ ნემსაძე, კობიაშვილი და ცქიტიშვილი. ეს ფეხბურთელები, განსაკუთრებით პირველი ორი, საქართველოსთვის დიდ ძალას წარმოადგენენ, რაც ოთხშაბათსაც გამოჩნდა. სამწუხაროდ, შუშაკი ისე არაა განებივრებული, თუნდ ერთი დაშავებულის ღირსეული შემცვლელი ჰყავდეს. შუშაკი კი არა, საქართველოსთან მატჩამდე მთელი ირლანდია იმას წუწუნებდა, დემიენ დაფი ვერ ითამაშებს და რა გვეშველებაო. არადა, დაფის დარი თუ არა, მსგავსი მაინც ირლანდიას სამი-ოთხი კიდევ ჰყავს. „ლენსდაუნზე" ნათლად ჩანდა, თურმე რამხელა სამუშაოს ასრულებენ კობიაშვილი და ნემსაძე. მათი გამოცდილება და საფეხბურთო განსწავლულობა ოთხშაბათს მოთამაშე ნახევარმცველებზე გაცილებით დიდი და მეტი ყოფილა. ირლანდიასთან თამაშში მთელმა გუნდმა წააგო, მაგრამ თუ დავაკონკრეტებთ, უნდა ვთქვათ — ნახევარდაცვამ, კიდევ უფრო კონკრეტულად — საყრდენმა ნახევარმცველებმა. აქეთკენ მიანიშნა მასპინძელთა მწვრთნელმა კერმა, ეს თქვეს ირლანდიელმა სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა, ამას ამბობს „ლენსდაუნზე" ნამყოფი ქართველობაც, მაგრამ ზოგი რატომღაც მაინც დაცვას ადანაშაულებს, რომელიც, ჩვენი აზრით, სხვებზე უკეთესი ხაზი იყო. როცა ირლანდიელები შეტევას იწყებდნენ, მათ, ფაქტობრივად, მეტოქის ნახევარდაცვის ჯებირი არ ხვდებოდათ, მასპინძელთა დაცვიდან ამოტანილ ბურთზე ეგრევე ხიზანიშვილ-ხიზანეიშვილ-კალაძე იბრძოდნენ. ასეთ დროს კი, როცა მეტოქე ხუთი ფეხბურთელით იწყებს შეტევას, და მათ შორის ორი უმაღლესი კლასისაა, თავდაცვა ჭირს. საქართველოს 11 ივნისს ნახევარდაცვა, ფაქტობრივად, არ ჰყავდა და არც შუშაკს ჰქონდა დიდი არჩევანი. 17-კაციან განაცხადში ნახევარმცველი ერთი სირაძე იყო, თუმც 21 წლის ბიჭისთვის ასეთ მატჩში თამაში, ვფიქრობთ, ერთობ საძნელო იქნებოდა. რატი ალექსიძე კი თითქმის ხუთი წელიწადია, ჰავბეკად აღარ თამაშობს და ვერავინ იტყოდა, ის ამისულაშვილზე ან ბურდულზე უკეთ გაართმევს საქმეს თავსო.

მოკლედ, ნემსაძის არყოფნა გუნდს ძალიან დაეტყო. ვერც იმას ვიტყვით, ნემსოს რომ ეთამაშა, კობიაშვილს ან ცქიტიშვილს, ჩვენები არ წააგებდნენო, მაგრამ შუა ხაზი რომ უფრო ძლიერი იქნებოდა, ალბათ, საკამათო არ არის.

⚽ ⚽ ⚽

ჩვენს გუნდს იმის გამო ვეტყვით შენიშვნას, რომ ფეხბურთელები ფლანგებს ვერ იყენებდნენ. შუშაკმა მატჩის შემდეგ კი თქვა, მეტოქემ გვაიძულა, შეცდომები დაგვეშვაო, მაგრამ ის აღარ უთქვამს, ამ შეცდომების მიზეზი ირლანდიელთა გარდა რა ან ვინ იყო. ფლანგების გამოყენებაც ხომ სწორედაც მოედნის შუაში მოთამაშეთა საქმეა. არც რეხვიაშვილი, არც დიდავა ის ფეხბურთელები არ არიან, შეტევის ჩაშლისთანავე მწვავე იერიში წამოიწყონ. არადა, ხშირად იქმნებოდა საამისო შანსი: სტუმართა განაპირა მცველები, ოში და კარი მოედნის საქართველოს ნახევარზე რჩებოდნენ და სწრაფი შეტევისთვის სწორედაც რომ ჩვენი ნახევრიდან იყო საჭირო ზუსტი პასი. ეს ვერც რეხვიაშვილმა მოახერხა, ვერც — დიდავამ.

⚽ ⚽ ⚽

საქართველოს ნაკრებს ყველაზე რეალური საგოლე შანსი სადღაც 70-ე-72-ე წუთზე ჰქონდა. „ლენსდაუნის" მწვანე ტრიბუნიდან მწვანე ბუშტი გაფრინდა. ამ დროს ირლანდიელები ჩვენს ნახევარზე იყვნენ და საჯარიმოს აწვდიდნენ. ბუშტი კი ფარფატ-ფარფატით დაეშვა მოედნის ცენტრში. ყურადღება ქართველთა საჯარიმოსკენ გვაქვს, მაგრამ თვალი ირლანდიელთა მეკარემ მოგვტაცა. მასპინძლები რომ უტევდნენ, შეი გივენი თავისი კარიდან ცენტრისკენ გაიქცა და ბუშტი გახეთქა. ეს ეპიზოდი, ალბათ, ტელევიზორში არ ჩანდა. გივენი რომ ცენტრისკენ გავარდა, ამ დროს ქართთველებმა მეტოქის შეტევა ჩაშალეს და... გივენის კარისკენ დარტყმა შორიდანვე შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენებს არც პასი გამოუვიდათ, არც დარტყმა. გივენმა კი შვებით ამოისუნთქა, რასაც ტრიბუნების ტაში მოჰყვა.

⚽ ⚽ ⚽

ტრიბუნიდან არ ჩანდა, მაგრამ ნამატჩევს „ლენსდაუნზე" მყოფთაგან ყველამ შეიტყო, რომ ირლანდიელთა მეორე გოლი კინს წესების დარღვევით გაუტანია — ბურთი ხელით გაუსწორებია და ლომაიასთვის ისე დაურტყამს. თურმე პირველი გოლიც არ ყოფილა „ალალი", რადგან ჯარიმა, რომელიც ხიზანიშვილ-კინის ორთაბრძოლას მოჰყვა, ჯარიმა არ ყოფილა. დუბლინ-თბილისის გზაზე ზურა ირწმუნებოდა, რომ კინს არც კი შეხებია. თუმც ბასკმა ედვურდო იტურალდო გონსალესმა სხვაგვარად განსაჯა.

⚽ ⚽ ⚽

ადგილობრივმა ინფორმატორმა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში შოთა არველაძის გვარი რომ გამოაცხადა, მაშინ ტრიბუნა ცარიელი იყო. თამაშისას კი შოთა რამდენჯერაც ბურთს მიიღებდა, სტადიონი საგიჟეთს ემსგავსებოდა, ღრიალებდნენ და უსტვენდნენ ირალნდიელები. საქმე კი ასე ყოფილა. არველაძის „რეინჯერსი" პროტესტანტების გუნდია, მთელი ირლანდია კი, ისევე როგორც „სელტიკი", კათოლიკეა. ტრიბუნაზე მწვანე ფერი რომ ერია, ნახევარი სწორედაც რომ „სელტიკის" მაისურა იყო. კათოლიკ-პროტესტანტების შუღლისა კი კარგად მოგეხსენებათ.

თუმც ტრიბუნას არველაძემ მაინც ღირსეულად უპასუხა [illegible] გებისა, ის ტრიბუნასთან მივიდა და გულშემატკივრობისთვის მადლობა გადაიხადა. ირლანდიელი ფანები წუთით დადუმდნენ, მერე კი „პროტესტანტი" შოთა არველაძეც ტაშით გააცილეს. შოთას მატჩისშემდგომ ამბებს კი გუშინდელ „სარბიელში" წაიკითხავდით.

⚽ ⚽ ⚽

რაც იყო, იყო... საქართველოს ნაკრებმა დუბლინში ითამაშა, ქალაქში, სადაც წაუგია პორტუგალიას, ჰოლანდიას, ხორვატიასა და სხვა კარგ გუნდებსაც. ჩვენმა ნაკრებმა წააგო, მაგრამ ამჯერად ეს ტრაგედია ნამდვილად არ არის...

ივო შუშაკმა საქართველოს ნაკრები გამოაცოცხლა, დანარჩენი კი დროის საქმეა...

**ძობა ინასარიძე**
*დუბლინი-თბილისი*





გახდება შუშაკი საქართველოს ნაკრებისთვის ჩარლტონი?



რობი კინმა ქართული დაცვა არ მოასვენა



„ლენსდაუნ როუდი" თამაშის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე და თამაშის დაწყებისას



**ჰოლანდია**

**პლეი ოფი. IV ტური**

დენ ბოსხი 1:3 ჰელმონდი
იგლსი 2:3 ზვოლე
ემენი 0:1 ჰერაკლესი
ექსელსიორი 3:2 ვოლენდამი



*გუშინ დილით კიევის „დინამოს" სელექციონერმა ანდრეი ბიბამ სასტუმრო „საირმესთან" ანგარიში გაასწორა და გეზი რკინიგზის დეპარტამენტისკენ აიღო. თბილისში ორი დღით ჩამოსული უკრაინელი ძალიან ჩქარობდა, ჯერ აკაკი ჩხაიძეს კიდევ ერთხელ, უკვე გიორგი ლომაიასთან ერთად უნდა დალაპარაკებოდა, მერე კი ჩვენებურ მეკარესთან ერთად კიევში გაფრენილიყო.*

*ბიბამ ყველაფერი მოასწრო, რკინიგზის დეპარტამენტის თავკაცსაც დაელაპარაკა და საქართველოს ეროვნული გუნდის მეკარესთან ერთად თბილისი-კიევის ავიარეისსაც მიუსწრო*

# ბიბამ ლომაია სურკისს ჩაუყვანა

**როგორც** რკინიგზულ კლუბში გვითხრეს, აკაკი ჩხაიძე წინააღმდეგი არ არის, თავისი ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე უკრაინულ „დინამოში" გაასხვისოს. აკი უთქვამს კიდეც გიორგისთვის, შენ ითამაშე და მე ხელის შემშლელი არ ვარ, შენგან ერთგულების მეტი არაფერი გვახსოვს და გზა დამილოცნიაო.

ბიბა გიორგი ლომაიას „დინამოს" პრეზიდენტ სურკისს დღესვე წარუდგენს. უკრაინელი სელექციონერი სწორედ სურკისის დავალებით სტუმრობდა თბილისს, ყველანაირად ეცადეთ, ეგ ბიჭი კიევში ჩამოიყვანოთ, მასთან პირადად მსურს საუბარიო.

გასაკვირიც კია, გუნდს, რომელსაც შოვკოვსკი და რევა ჰყავს, კიდევ ერთი მეკარე თანაც უცხოელი, რაში სჭირდება?! არადა, უკრაინელები ლომაიას მიმართ ინტერესს წელიწადზე მეტია, იჩენენ.

როგორც კიევში ამბობენ, შოვკოვსკი უკვე ჩემოდნებზე ზის, მას უცხოური კლუბები ეპატიჟებიან და თავადაც წასვლას ეშურება. ეს ლომაიას წინსვლაზე ასხამს წყალს, ერთი მეკარის კონკურენციის დაძლევა გაცილებით იოლია, მით უმეტეს, რომ რევას ბოლო დროს არცთუ სახარბიელო პერიოდი უდგას და უფორმობას ფსიქოლოგიური პრობლემებიც დამატებია.

ჯერ არავინ იცის, დარჩება თუ არა ლომაია უკრაინულ „დინამოში", თუმც ერთი რამ ფაქტია, ის ძირითადისთვის ბრძოლას შეჩვეულია, შრომა არასდროს დაზარებია და როცა შანსი ეძლეოდა, სათავისოდ იყენებდა.

ისიც ცხადზე ცხადია, რომ გიორგის წინსვლისთვის და დაოსტატებისთვის საქართველოზე გაცილებით მაღალი დონის ჩემპიონატში თამაში წაადგება, ჰოდა, ამ ეტაპზე კიევის „დინამო" ურიგო ვარიანტი სულაც არ არის. რაც შეეხება ლონდონის „არსენალს" და მის ფრანგ მაესტრო ვენგერს, ეტყობა, ინგლისელებს სხვა გეგმები აქვთ, თორემ ამ ხნის მანძილზე გაურკვეველი საუბრებს რაღაც კონკრეტული ლაპარაკი ხომ უნდა მოჰყოლოდა.

**გიორგი ვაშაკიძე**

2003 წლის 14 ივნისს, 15 საათზე, სკ „ვიტ ჯორჯიას" ოფისში, თამარაშვილის 19, შედგება გულშემატკივართა კლუბის შეკრება.

მსურველებს გთხოვთ, მობრძანდეთ

საფეხბურთო კლუბი ფოთის „კოლხეთი" სამძიმარს უცხადებს სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარეს ანატოლი მილჩენკოს
**დედის**
გარდაცვალების გამო

საფეხბურთო კლუბი „ლოკომოტივი" სამძიმარს უცხადებს სფფ-ის სამსაჯო საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარეს ანატოლი მილჩენკოს
**დედის**
გარდაცვალების გამო

საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია" სამძიმარს უცხადებს სფფ-ის სამსაჯო საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარეს ანატოლი მილჩენკოს
**დედის**
გარდაცვალების გამო

საფეხბურთო კლუბი გორის „დილა" სამძიმარს უცხადებს სფფ-ის სამსაჯო საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარეს ანატოლი მილჩენკოს
**დედის**
გარდაცვალების გამო

დავით ყიფიანის სახელობის ფონდი სამძიმარს უცხადებს სფფ-ის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარეს ანატოლი მილჩენკოს
**დედის**
გარდაცვალების გამო

*11 ივნისის ირლანდია — საქართველომ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ნაკრების ახალთაობელ მალხაზ ასათიანის შესაძლებლობებში. 21 წლის შემტევი ნახევარმცველი ერთ-ერთი მათგანი იყო დუბლინურ „ლენსდაუნ როუდზე", ვისი გამორჩევაც შეიძლებოდა ქართველებში. ბევრს შესაძლოა არც ემეტება ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივისთვის", მაგრამ ამას ჯერჯერობით ვერ გავექცევით, სამაგიეროდ, მალხაზს ეროვნულ ნაკრებში თამაშით შეუძლია ქართველობის გახარება...*

*ერთი სიტყვით, საქმე იქით მიდის, რომ მალხაზ ასათიანი ქვეყნის რჩეულ მობურთალთა შორის იკიდებს ფეხს. ახლა მთავარია, გაცემული ავანსები გაამართლოს.*

*გუშინ მალხაზ ასათიანს მოსკოვში შევეხმიანეთ და დუბლინურ მატჩზე დავეკითხეთ...*

# ხელის ჩაქნევას ფეხის გაქნევა სჯობს

## მალხაზ ასათიანი ნაკრების პოტენციაზე ლაპარაკობს

— ისეთი თამაში იყო, ნებისმიერი შედეგით შეიძლებოდა დასრულებულიყო. სამწუხაროდ, მეტოქემ შეცდომები არ გვაპატია. არადა, დასანანი გოლები გავუშვით.

**— ირლანდიასთან წარმატებული თამაში რეალური ჩანდა?**

— რატომაც არა?! პირველი გოლი ძალიან ცუდ დროს გავუშვით. ტაიმი უკვე მთავრდებოდა და შესვენებაზე 0:0-ით რომ გავსულიყავით, მერე უფრო მეტი შანსი გვექნებოდა. იმ გოლმა კი ფსიქოლოგიურადაც იმოქმედა გუნდზე.

**— გოლის გაშვებამდე დანიშნულ საჯარიმოზე რას იტყვი? ტელევიზიით აშკარად ჩანდა, რომ ზურაბ ხიზანიშვილი მეტოქეს არც შეხებია...**

— ამას უკვე რა მნიშვნელობა აქვს. სანამ ჯარიმა დაინიშნებოდა, მანამდე არ უნდა დაგვეკარგა ბურთი. ჩვენს საჯარიმოსთან უფრო ფრთხილად უნდა გვემოქმედა. მოკლედ, იმას კამბობ, რომ მეტოქემ ამით ისარგებლა, შეცდომა არ გვაპატია და დაგვსაჯა. ჯარიმა ალბათ მართლაც არ იყო, მაგრამ...

**— მეორე ტაიმთან შედარებით პირველში უფრო ინერტული ჩანდი...**

— ჰო, ასე იყო. შესვენების შემდეგ უფრო ავმოძრავდი, თუმც პირველ ტაიმშიც მქონდა ერთი კარგი შანსი გოლის გასატანად.

**— ირლანდიელთა კარში მეორე ტაიმში არაერთხელ დაარტყი. შუშაკის დავალება იყო?**

— დავალება რა საჭიროა, როცა შესაძლებლობა მოგეცემა, კარში უნდა დაარტყა. მეც ორი-სამი ასეთი სიტუაცია შემექმნა და...

**— ბოლო წლებში პირველად ხდება, საქართველოს ნაკრების წაგებას გულშემატკივრებში უიმედობა არ გამოუწვევია...**

— წაგებული თამაშის მერე რა ვთქვა, არც ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, ამ ნაკრებს პოტენცია აშკარად გააჩნია. გუნდის საშუალო ასაკიც საკმაოდ ახალგაზრდულია. ბევრი კარგი ფეხბურთელი გამოჩნდა, გამოცდილებიც გვეხმარებიან. ვფიქრობ, ხელის ჩაქნევის საბაბი არ გვაქვს. მთავარია, საქმეს სწორად მივუდგეთ და წინააღმდეგობებს არ შევუშინდეთ.

**— ირლანდიის მოგება არც რუსებს აძლევდა ხელს. „ლოკომოტივში" რომ დაბრუნდი, თანაგუნდელებმა რა გითხრეს?**

— განსაკუთრებული არაფერი. რუსების მიზანი დარჩენილი სამი თამაშის მოგებაა.

**ქახა ზალამბერიძე**



# პელემ თარხნიშვილს ზურგი შეაქცია

## ქართველს ევროპაში უკრაინელი გაიყვანს



**ტირასპოლის „შერიფს"** ახალი მწვრთნელი ჰყავს. ამიერიდან ვაჟა თარხნიშვილს და მის თანაგუნდელებს უკრაინელი სპეციალისტი იგორ ნაკონეჩნი გაწვრთნის, რომელიც აქამდე „შერიფის" თანაქალაქელ „ტირასპოლს" edგა სათავეში.

ნაკონეჩნის არცთუ იოლი მისია დაეკისრება, მას გუნდის ჩემპიონთა ლიგაში გაყვანა დაუსახეს მიზნად.

„შერიფი" და მისი ქართველი კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილი სერიოზულად ფიქრობენ ევროპის მთავარ საკლუბო ფორუმზე მოხვედრას. კლუბის ხელმძღვანელობაც სამისოდ არაფერს იშურებს.

და ვინ გაუხსნა გზა „შერიფს"? გაბი პელე ბალინტმა. სწორედ მისი მწვრთნელობისას მოიგო მოლდოვურმა გუნდმა იანვარში „თანამეგობრობის თასი", რასაც სეზონის ბოლოს მთავარ კონკურენტ „ზიმბრუს" დაჩოქება და ქვეყნის ჩემპიონობაც მოჰყვა.

„შერიფის" ხელმძღვანელობასაც გაბი პელეს გაშვება თავში აზა, როგორ მოუვიდოდა, მაგრამ კონტრაქტის გაგრძელება თავად მწვრთნელმა არ ისურვა. მისი თქმით, მოლდოვა არაა ის დონე, რომელიც დააკმაყოფილებდა. ის თურმე გაცილებით მეტს იმსახურებს...

**ქახა ზალამბერიძე**

# ირლანდიას მოგება წაგებით შეუცვალეს

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ირლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებს ის ერთადერთი გამარჯვება გაუუქმა, რომელიც ახალგაზრდა მწვანეებმა 6 ივნისს ალბანელ თანატოლებთან მოიპოვეს.

ახლა ირლანდიელები რევაზ არველაძის გუნდს მხოლოდ მეტი გატანილი ბურთით უსწრებენ, ხოლო ალბანეთმა, რომელსაც ტექნიკური გამარჯვება 3:0 მიანიჭეს, 7 ქულით მესამე ადგილს უწია.

უეფას დისციპლინართა გადაწყვეტილება ირლანდიელთა ალბათ უნებურმა შეცდომამ შვა: 6 ივნისს მწვანეებს სტუმართა წინააღმდეგ დისკვალიფიცირებული კაპიტანი ლაიმ მილერი უთამაშებიათ, ეს კი უეფას კანონებით შეხვედრის საბოლოო შედეგის უპირობოდ გაუქმებას და წაგების ჩათვლას ითვალისწინებს.

ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციას უფლება აქვს, უეფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება გაასაჩივროს, მაგრამ რადგანაც დისკვალიფიცირებული მილერი მოედანზე იყო, არა გვგონია, ამ საქმეს რამე ეშველოს.

მსგავსი ამბავი ჩვენს ნაკრებებს არა, მაგრამ კლუბებს თავს კი გადახდენიათ. „ბათუმმა" თასების თასის გათამაშების საშინაო მატჩში ერევნის „არარატთან" დისკვალიფიცირებული სოლოღაშვილი ათამაშა და ტექნიკური წაგება 0:3 ჩაუთვალეს. მსგავსი შეცდომისთვის თბილისში ალბანური „ვლაზნია" დაისაჯა, „დინამოსთან" ალბანელებმა განუცხადებელი მოთამაშე მეორე ტაიმშიდა გამოიყვანეს, მაგრამ უეფამ არაფერი შეისმინა და 3:0 გამარჯვება „დინამოს" არგუნა.

**მამუკა ძგანტალიანი**

### დღევანდელი ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 6 | 5 | 1 | 0 | 10:3 | 16 |
| რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:2 | 12 |
| ალბანეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| ირლანდია | 6 | 0 | 2 | 4 | 4:11 | 2 |
| საქართველო | 5 | 0 | 2 | 3 | 2:9 | 2 |

# საქართველოს ეროვნული გუნდი

| № | თარიღი | ს | რ | მეტოქე | ანგ | მეგოლეები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 02/09/92 | ს | ამ | ლიტვა | 0:1 | |
| 2 | 17/09/92 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 6:3 | ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი |
| 3 | 22/12/92 | ს | ამ | კვიპროსი | 0:1 | |
| 4 | 25/05/93 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 5 | 08/02/94 | ნ | სტ | სლოვენია | 0:1 | |
| 6 | 10/02/94 | ს | სტ | მალტა | 1:0 | ქეცბაია |
| 7 | 12/02/94 | ნ | სტ | ტუნისი | 2:0 | ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 8 | 23/02/94 | ს | ამ | ისრაელი | 0:2 | |
| 9 | 11/06/94 | ს | ამ | ნიგერია | 1:5 | რ. არველაძე |
| 10 | 26/06/94 | ს | ამ | ლატვია | 3:1 | დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 11 | 19/07/94 | შ | ამ | მალტა | 1:1 | შ. არველაძე |
| 12 | 07/09/94 | შ | ეჩ | მოლდოვა | 0:1 | |
| 13 | 12/10/94 | ს | ეჩ | ბულგარეთი | 0:2 | |
| 14 | 16/11/94 | შ | ეჩ | უელსი | 5:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი |
| 15 | 14/12/94 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | შ. არველაძე |
| 16 | 29/03/95 | შ | ეჩ | გერმანია | 0:2 | |
| 17 | 26/04/95 | შ | ეჩ | ალბანეთი | 2:0 | შ. არველაძე, ქეცბაია |
| 18 | 07/06/95 | ს | ეჩ | უელსი | 1:0 | ქინქლაძე |
| 19 | 06/09/95 | ს | ეჩ | გერმანია | 1:4 | ქეცბაია |
| 20 | 11/10/95 | შ | ეჩ | ბულგარეთი | 2:1 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 21 | 15/11/95 | ს | ეჩ | მოლდოვა | 2:3 | დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.) |
| 22 | 27/03/96 | ს | ამ | კვიპროსი | 2:0 | ქეცბაია, ჯამარაული |
| 23 | 24/04/96 | ს | ამ | რუმინეთი | 0:5 | |
| 24 | 08/05/96 | ს | ამ | საბერძნეთი | 1:2 | გოგრიჭიანი |
| 25 | 01/09/96 | ს | ამ | ნორვეგია | 0:1 | |
| 26 | 09/10/96 | ს | მჩ | იტალია | 0:1 | |
| 27 | 09/11/96 | შ | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 28 | 05/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:4 | იაშვილი, კიკნაძე |
| 29 | 08/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:3 | გახოკიძე, ცქიტიშვილი |
| 30 | 30/03/97 | შ | ამ | სომხეთი | 7:0 | შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 31 | 30/04/97 | ს | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 32 | 07/06/97 | შ | მჩ | მოლდოვა | 2:0 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 33 | 14/06/97 | ს | მჩ | პოლონეთი | 1:4 | შ. არველაძე |
| 34 | 10/09/97 | შ | მჩ | იტალია | 0:0 | |
| 35 | 24/09/97 | ს | მჩ | მოლდოვა | 1:0 | ქეცბაია |
| 36 | 11/10/97 | შ | მჩ | პოლონეთი | 3:0 | ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია |
| 37 | 06/02/98 | ნ | სტ | ლატვია | 2:1 | ჯამარაული 2 |
| 38 | 08/02/98 | ნ | სტ | ალბანეთი | 3:0 | ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი |
| 39 | 10/02/98 | ს | სტ | მალტა | 3:1 | ყაველაშვილი 2, ჯამარაული |
| 40 | 02/05/98 | ს | ამ | ტუნისი | 1:1 | ქინქლაძე |
| 41 | 30/05/98 | შ | ამ | რუსეთი | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 42 | 12/08/98 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 43 | 19/08/98 | ს | ამ | უკრაინა | 0:4 | |
| 44 | 05/09/98 | შ | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | ა. არველაძე |
| 45 | 10/10/98 | ს | ეჩ | ლატვია | 1:0 | |
| 46 | 14/10/98 | ს | ეჩ | საბერძნეთი | 0:3 | |
| 47 | 18/11/98 | შ | ამ | ესტონეთი | 3:1 | აშვეთია 2, დ. ჯანაშია |
| 48 | 20/03/99 | შ | ამ | უკრაინა | 0:1 | |
| 49 | 27/03/99 | შ | ეჩ | სლოვენია | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 50 | 28/04/99 | შ | ეჩ | ნორვეგია | 1:4 | ზ. ჯანაშია |
| 51 | 30/05/99 | ს | ეჩ | ნორვეგია | 0:1 | |
| 52 | 05/06/99 | შ | ეჩ | საბერძნეთი | 1:2 | ქეცბაია |
| 53 | 04/09/99 | ს | ეჩ | სლოვენია | 1:2 | შ. არველაძე |
| 54 | 08/09/99 | შ | ეჩ | ლატვია | 2:2 | შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 55 | 09/10/99 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:2 | შ. არველაძე |
| 56 | 02/02/00 | ნ | სტ | სლოვაკეთი | 0:2 | ქეცბაია, ყაველაშვილი |
| 57 | 04/02/00 | ნ | სტ | რუმინეთი | 1:1 | ქეცბაია (პენალტებით 2:4) |
| 58 | 06/02/00 | ნ | სტ | სომხეთი | 2:1 | ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი |
| 59 | 28/03/00 | ს | ამ | ისრაელი | 1:1 | ქინქლაძე |
| 60 | 26/04/00 | ს | ამ | სომხეთი | 0:0 | |
| 61 | 04/06/00 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:0 | |
| 62 | 11/06/00 | ს | ამ | ესტონეთი | 0:1 | |
| 63 | 16/08/00 | ს | ამ | ირანი | 1:2 | ყაველაშვილი |
| 64 | 07/10/00 | ს | მჩ | ლიტვა | 4:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე |
| 65 | 11/10/00 | ს | მჩ | იტალია | 0:2 | |
| 66 | 14/02/01 | შ | ამ | უკრაინა | 0:0 | |
| 67 | 28/03/01 | შ | მჩ | რუმინეთი | 0:2 | |
| 68 | 24/04/01 | შ | ამ | ისრაელი | 3:2 | ქეცბაია 2, ა. არველაძე |
| 69 | 09/05/01 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 1:0 | იონანიძე |
| 70 | 02/06/01 | შ | მჩ | იტალია | 1:2 | გახოკიძე |
| 71 | 06/06/01 | ს | მჩ | უნგრეთი | 1:4 | კობიაშვილი |
| 72 | 15/07/01 | ს | ამ | ლუქსემბურგი | 3:0 | დემეტრაძე 2, ალექსიძე |
| 73 | 01/09/01 | შ | მჩ | უნგრეთი | 3:1 | შ. არველაძე, ჯამარაული, იაშვილი |
| 74 | 05/09/01 | შ | მჩ | ლიტვა | 2:0 | იაშვილი 2 |
| 75 | 06/10/01 | ს | მჩ | რუმინეთი | 1:1 | იაშვილი |
| 76 | 27/03/02 | შ | ამ | ს. აფრიკა | 4:1 | დემეტრაძე 2, კობიაშვილი, ალექსიძე |
| 77 | 17/04/02 | ს | ამ | უკრაინა | 1:2 | ბურდული |
| 78 | 21/08/02 | ს | ამ | თურქეთი | 0:3 | |
| 79 | 08/09/02 | ს | ეჩ | შვეიცარია | 1:4 | შ. არველაძე |
| 80 | 12/02/03 | შ | ამ | მოლდოვა | 2:2 | ჩალაძე, აშვეთია |
| 81 | 29/03/03 | შ | ეჩ | ირლანდია | 1:2 | კობიაშვილი |
| 82 | 02/04/03 | შ | ეჩ | შვეიცარია | 0:0 | |
| 83 | 30/04/03 | შ | ეჩ | რუსეთი | 1:0 | ასათიანი |
| 84 | 11/06/03 | ს | ეჩ | ირლანდია | 0:2 | |

*შენიშვნა: ს-ად (სტუმრად/შინ/ნეიტრალურზე); რ-ანგი (საერთაშორისო ტურნირი, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, ამხანაგური მატჩები); თ-ამაში; გ-ოლი*

## მატჩები

| | |
|---|---|
| გიორგი ნემსაძე | 63 |
| გოჩა ჯამარაული | 55 |
| თემურ ქეცბაია | 50 |
| გიორგი ქინქლაძე | 49 |
| შოთა არველაძე | 46 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 45 |
| ლევან კობიაშვილი | 42 |
| კახა კალაძე | 35 |
| არჩილ არველაძე | 32 |
| მურთაზ შელია | 28 |
| კახა გოგიჩაიშვილი | 27 |
| დავით გვარამაძე | 26 |
| გიორგი დემეტრაძე | 26 |
| ლევან ცქიტიშვილი | 26 |
| გიორგი ჩიხრაძე | 24 |
| კახა ცხადაძე | 23 |
| გელა შეყილაძე | 22 |
| ლევან სილაგაძე | 21 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 21 |
| გივი დიდავა | 20 |
| ირაკლი ზოიძე | 19 |
| დიმიტრი კუდინოვი | 18 |
| რატი ალექსიძე | 17 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | 17 |
| გიორგი გახოკიძე | 15 |
| აკაკი დევაძე | 15 |
| ალექსანდრე იაშვილი | 15 |
| რევაზ ქემოკლიძე | 14 |

## გოლები

| | |
|---|---|
| თემურ ქეცბაია | 16 |
| შოთა არველაძე | 16 |
| გიორგი ქინქლაძე | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 8 |
| არჩილ არველაძე | 6 |
| ალექსანდრე იაშვილი | 6 |
| გოჩა ჯამარაული | 6 |
| გიორგი დემეტრაძე | 4 |
| ზაზა ჯანაშია | 4 |
| მიხეილ აშვეთია | 3 |
| ლევან კობიაშვილი | 3 |
| დავით ჯანაშია | 3 |

| სახელი | გვარი | ა | თარიღი | კლუბი | თ | გ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალერი | აბრამიძე | მ | 17/01/80 | სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) | 6 | – |
| რატი | ალექსიძე | თ | 08/09/78 | დინამო | 17 | 2 |
| ალექსანდრე | ამისულაშვილი | მ | 20/08/82 | დინამო | 6 | – |
| არჩილ | არველაძე | თ | 22/02/73 | კიოლნი (გერმანია) | 32 | 6 |
| რევაზ | არველაძე | ნ | 15/09/69 | თამაში მიატოვა | 11 | 1 |
| შოთა | არველაძე | თ | 22/02/73 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 46 | 16 |
| მალხაზ | არზიანი | მ | 15/08/64 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| მალხაზ | ასათიანი | ნ | 04/08/81 | ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) | 4 | 1 |
| დავით | ასლანაძე | მკ | 16/11/76 | მილანი | 1 | – |
| შალვა | აფხაზავა | თ | 04/08/80 | არსენალი (უკრაინა) | 1 | – |
| მიხეილ | აშვეთია | თ | 10/11/77 | სპარტაკ-ალანია (რუსეთი) | 11 | 3 |
| ბადრი | ახვლედიანი | მ | 19/10/70 | უგუნდო | 2 | – |
| გიორგი | ბალაშვილი | მ | 07/08/73 | ლოკომოტივი | 3 | – |
| ბესიკ | ბერაძე | მ | 20/02/68 | თამაში მიატოვა | 8 | – |
| მელორ | ბიგვავა | თ | 17/01/63 | აინტრახტი (ვირგესი, გერმანია) | 1 | – |
| ვლადიმერ | ბურდული | ნ | 26/02/80 | დინამო | 9 | 1 |
| იური | გაბისკირია | ნ | 01/09/68 | სიონი | 1 | – |
| გიორგი | გახოკიძე | ნ | 09/11/77 | პსვ (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) | 15 | 2 |
| ირაკლი | გემეზაშვილი | მ | 06/07/77 | პლაუენი (გერმანია) | 1 | – |
| დავით | გვარამაძე | მკ | 08/11/75 | დინამო | 26 | – |
| კახა | გოგიჩაიშვილი | ნ | 31/10/68 | მერანი-ოლიმპი | 27 | 1 |
| ალექსანდრე | გოგობერიშვილი | ნ | 26/02/76 | დინამო | 2 | – |
| გოჩა | გოგრიჭიანი | თ | 12/08/64 | ჟემჩუჟინა (სოჭი, რუსეთი) | 8 | 2 |
| იოსებ | გრიშიკაშვილი | მკ | 21/12/72 | უგუნდო | 10 | – |
| გია | გურული | თ | 20/05/64 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| ვალტერ | გუჩუა | მ | 06/07/75 | ტორპედო | 5 | – |
| გოჩა | გუჯაბიძე | მ | 07/07/71 | მერანი-ოლიმპი | 1 | – |
| გიორგი | დავითნიძე | მ | 18/07/78 | მერანი-ოლიმპი | 1 | – |
| გიორგი | დარასელია | ნ | 17/09/68 | ცაფრირიმი (ჰულონი, ისრაელი) | 8 | 1 |
| ვიტალი | დარასელია | თ | 27/09/78 | დინამო | 4 | – |
| აკაკი | დევაძე | მკ | 28/11/71 | უგუნდო | 15 | – |
| გიორგი | დემეტრაძე | თ | 26/09/76 | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) | 26 | 4 |
| გივი | დიდავა | მ | 26/03/76 | ქოჯაელისფორი (თურქეთი) | 20 | – |
| ირაკლი | ვაშაკიძე | მ | 13/03/76 | დინამო | 1 | – |
| ირაკლი | ზოიძე | მკ | 21/03/69 | დინამო | 19 | – |
| ვაჟა | თარხნიშვილი | მ | 26/08/71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | – |
| სევასტი | თოდუა | მ | 13/05/76 | ტორპედო | 6 | – |
| ალექსანდრე | იაშვილი | თ | 23/10/77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 15 | 6 |
| გელა | ინალიშვილი | ნ | 03/10/66 | თამაში მიატოვა | 10 | – |
| ზურაბ | იონანიძე | თ | 02/12/71 | ტორპედო | 3 | 1 |
| თემურ | კაბისაშვილი | მ | 13/09/67 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| ალექსანდრე | კაიდარაშვილი | თ | 02/11/78 | ლოკომოტივი | 1 | – |
| კახა | კალაძე | მ | 22/02/78 | მილანი (იტალია) | 35 | – |
| მერაბ | კაციტაძე | ვ | 25/02/63 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| კახა | კაჭარავა | თ | 19/09/66 | თამაში მიატოვა | 2 | 1 |
| გივი | კვარაცხელია | ნ | 11/05/79 | ლოკომოტივი | 3 | – |
| კახა | კვეტენაძე | ნ | 03/06/70 | ტორპედო | 1 | – |
| დავით | კვირკველია | ნ | 27/06/80 | დინამო | 2 | – |
| გიორგი | კიკნაძე | ნ | 26/04/76 | უგუნდო | 10 | 1 |
| გიორგი | კილასონია | ნ | 09/09/68 | უგუნდო | 3 | – |
| ლევან | კობიაშვილი | მ | 10/07/77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 42 | 3 |
| დიმიტრი | კუდინოვი | მ | 08/02/63 | თამაში მიატოვა | 18 | 1 |
| ნუგზარ | ლობჟანიძე | მ | 07/09/71 | თამაში მიატოვა | 13 | – |
| გიორგი | ლომაია | მკ | 08/08/79 | ლოკომოტივი | 9 | – |
| მამუკა | მაჭავარიანი | მ | 27/11/70 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| მიხეილ | მახვილაძე | მ | 22/07/78 | ტორპედო | 1 | – |
| ლევან | მელქაძე | თ | 12/12/79 | ვიტ ჯორჯია | 2 | – |
| ზურაბ | მენთეშაშვილი | ნ | 30/01/80 | სპარტაკ-ალანია (რუსეთი) | 11 | 1 |
| გიორგი | მეგრელაძე | თ | 21/07/78 | ორფეასი (საბერძნეთი) | 1 | – |
| ლევან | მიქაძე | მ | 13/09/73 | კრივბასი (უკრაინა) | 1 | – |
| ლაშა | მონასელიძე | ნ | 02/01/77 | უგუნდო | 1 | – |
| ამირან | მუჯირი | ნ | 20/02/74 | მარეკი (ბულგარეთი) | 1 | – |
| დავით | მუჯირი | ნ | 02/01/78 | შტურმი (ავსტრია) | 2 | – |
| გიორგი | ნემსაძე | ნ | 10/05/72 | დანდი (შოტლანდია) | 63 | – |
| გიორგი | ნიკურაძე | მკ | 01/10/79 | კოოტეეპეე (ფინეთი) | 1 | – |
| ლაშა | ნოზაძე | ნ | 18/03/80 | ვიტ ჯორჯია | 1 | – |
| როინ | ონიანი | მ | 14/06/75 | ლოკომოტივი | 1 | – |
| გიორგი | რევაზიშვილი | ნ | 31/03/77 | დილა | 1 | – |
| ზაზა | რევიშვილი | მ | 23/09/68 | თამაში მიატოვა | 11 | – |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | ნ | 06/08/74 | ტორპედო-მეტალურგი (რუსეთი) | 17 | – |
| არჩილ | სახვაძე | მ | 10/03/78 | დინამო | 1 | – |
| ედიკ | საჯაია | მ | 16/02/81 | ტორპედო (მოსკოვი, რუსეთი) | 9 | – |
| ვასილ | სეფაშვილი | თ | 17/02/69 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| კახა | სიდამონიძე | მ | 17/04/71 | მილანი | 5 | – |
| ლევან | სილაგაძე | მ | 04/08/76 | რუბინი (რუსეთი) | 21 | – |
| თენგიზ | სიჭინავა | ნ | 15/05/72 | კრისტალი (რუსეთი) | 10 | – |
| ნიკოლოზ | ტოგონიძე | მკ | 26/04/71 | პრიკარპატია (უკრაინა) | 11 | – |
| თემურ | ტუღუში | თ | 24/02/72 | კოლხეთი | 3 | – |
| გოჩა | ტყებუჩავა | მ | 24/11/63 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| გია | ფირცხალავა | მ | 03/01/65 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| ზურაბ | ფოფხაძე | მ | 02/06/72 | კრივბასი (უკრაინა) | 4 | – |
| მიხეილ | ფოცხვერია | თ | 12/08/75 | უგუნდო | 4 | – |
| რევაზ | ქემოკლიძე | მ | 13/03/79 | ქოჯაელისფორი (თურქეთი) | 14 | – |
| თემურ | ქეცბაია | ნ | 18/03/68 | ანორთოსისი (კვიპროსი) | 50 | 16 |
| გიორგი | ქინქლაძე | ნ | 06/07/76 | დერბი ქაუნთი (ინგლისი) | 49 | 8 |
| გიორგი | ღუდუშაური | ნ | 18/02/73 | უგუნდო | 8 | – |
| მიხეილ | ყაველაშვილი | თ | 22/07/71 | ლუცერნი (შვეიცარია) | 45 | 8 |
| დავით | ყიზილაშვილი | თ | 12/12/70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 |
| გიორგი | ყიფიანი | ნ | 12/08/78 | ვიტ ჯორჯია | 2 | – |
| გიორგი | შაშიაშვილი | მ | 01/09/79 | დინამო | 8 | – |
| მურთაზ | შელია | მ | 25/03/69 | თამაში მიატოვა | 28 | – |
| გელა | შეყილაძე | მ | 14/09/70 | რუზელარე (ბელგია) | 22 | – |
| დავით | ჩალაძე | თ | 22/01/76 | რუბინი (რუსეთი) | 4 | 1 |
| გოჩა | ჩიქოვანი | მ | 12/10/62 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| გიორგი | ჩიხრაძე | მ | 01/10/67 | ჰაპოელი (ბეით შანი, ისრაელი) | 24 | – |
| გია | ჩხაიძე | მ | 23/02/70 | მილანი | 3 | – |
| კახა | ჩხეტიანი | ნ | 24/02/78 | დებრეცენი (უნგრეთი) | 1 | – |
| დავით | ცომაია | ნ | 04/09/67 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| ლევან | ცქიტიშვილი | მ | 10/10/76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 26 | 1 |
| კახა | ცხადაძე | მ | 07/09/68 | ანჟი (რუსეთი) | 23 | 1 |
| მერაბ | ძოძუაშვილი | თ | 04/11/80 | ლოკომოტივი | 2 | – |
| მამუკა | წერეთელი | მ | 17/01/79 | ნეა სალამინა (კვიპროსი) | 9 | – |
| გიორგი | ჭანკოტაძე | მ | 04/10/77 | უგუნდო | 3 | – |
| გრიგოლ | ჭანტურია | მკ | 25/09/73 | ტორპედო | 2 | – |
| სოსო | ჭედია | ნ | 09/10/65 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| დავით | ჭიჭვეიშვილი | ნ | 23/01/75 | ლოკომოტივი | 3 | – |
| ვახტანგ | ხვადაგიანი | მ | 04/04/72 | ტორპედო | 1 | – |
| ზურაბ | ხიზანიშვილი | მ | 06/10/81 | დანდი (შოტლანდია) | 21 | – |
| ოთარ | ხიზანეიშვილი | მ | 26/06/81 | დინამო | 6 | – |
| დავით | ხმელიძე | მკ | 28/04/79 | როსტოვი (რუსეთი) | 1 | – |
| შალვა | ხუჯაძე | მ | 05/10/75 | სიონი | 2 | – |
| გოჩა | ჯამარაული | ნ | 23/07/71 | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) | 55 | 6 |
| დავით | ჯანაშია | თ | 07/08/72 | უგუნდო | 10 | 3 |
| ზაზა | ჯანაშია | თ | 10/02/76 | ქოჯაელისფორი (თურქეთი) | 9 | 4 |
| დავით | ჯანელიძე | მკ | 09/02/73 | თამაში მიატოვა | 2 | – |
| ზვიად | ჯელაძე | მ | 16/12/73 | ბალტიკა (რუსეთი) | 3 | – |
| მამუკა | ჯიქია | ნ | 11/12/75 | ამიკა (ვრონკი, პოლონეთი) | 2 | – |
| გია | ჯიშკარიანი | ნ | 30/11/67 | თამაში მიატოვა | 8 | 1 |
| მიხეილ | ჯიშკარიანი | თ | 01/11/69 | სტროიტელი (უფა, რუსეთი) | 2 | – |

სულ: 119 მოთამაშე

# ბექჰემიადა

გიო ახვლედიანის

სვეტი

## საით, ბექჰ...

დევიდ ბექჰემის კონტინენტზე გადაბარგების ამბავი, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთ დიდ სავაზეთო სავად გადაიქცა. ბექჰემის ისე იყიდება, თითქოს სოტბის აუქციონზე ვან გოგის „მზესუმზირები“ გაეტანოთ. რეალურად, ბექჰემი არ არის „მზესუმზირები“, მაგრამ ბექჰემი არის ის, რომ მხოლოდ ფეხბურთელი კარგა ხანია აღარ არის, ამიტომაცაა ასეთი ამბავი.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ისე ღიად, პირდაპირ და აშკარად ყიდის თავის ვარსკვლავს, რომ ინგლისური მედიის ერთი-ორი ცნობილი ავტორის აზრით, ეს გაყიდვა ფეხბურთის იმ შავ დროებას გვახსენებს, როცა ფეხბურთელებს, ვითარცა ძველი დროის პატარძლებს, მხოლოდ ეკლესიაში ეტყვიან, ვინ არის მისი საქმრო.

სამი დიდი ევროპული ქალაქი იბრძვის ბექჰემისთვის, თუმცა, ამ ბრძოლის აფიშირება არ ხდება. ხმაურობს მხოლოდ „ბარსას“ პრეზიდენტობის კანდიდატი ხუან ლაპორტა, რომელმაც ბექჰი თავისი საარჩევნო კამპანიის მთავარ ფიგურად აქცია. „მილანის“ პატრონმა სილვიო ბერლუსკონიმ კი თქვა, რომ ქვეყნად ბექჰემზე უკეთესი კაპიტალდაბანდებები არსებობს. გუშინ კი „რეალ მადრიდის“ დირექტორმა ხორხე ვალდანომ „ფეხბურთის მხატვარი“ უწოდა დევიდს და ოთხდღიანი ვადა დაუთქვა, იფიქრე და თუ „ჰო“-ს იტყვი მოლაპარაკებებს დავიწყებთო.

ვითარება დეტექტიურია, „ბარსას“ ხმაურისა და „მილანის“ გულგრილობის მიუხედავად, ნამდვილი მყიდველი, შესაძლოა, სწორედ „მილანი“ გამოდგეს, „რეალის“ ვადა კი ბექჰემის თანხმობის შემთხვევაში საარჩევნო კოვზს ნაცარში ჩაუგდებს ლაპორტას.

ამგვარი ხლართი ბევრია.

სად წავა ბექჰემი?

თუმცა, ამ კითხვაზე არანაკლებ საინტერესოა სხვა კითხვა: რატომ ყიდის „მანჩესტერი“ ბექჰემს?

ფილოსოფიურ-გრძნობისმიერი პასუხი ასეთია: ბექჰი უფრო პოპულარული ხდება, ვიდრე „მანჩესტერ იუნაიტედი“.

ფინანსურ-ჯიბისეული პასუხი კი ასეთი: მერე რა რომ ბექჰი ათასი კონტრაქტითაა ჩახლართული კლუბის სპონსორ „ვოდაფონთან“, კლუბისავე აზიურ პოლიტიკასთან და სხვა ასეთებთან. ექვსი წლის წინათ გუნდიდან ერიკ კანტონა წავიდა და „მანჩესტერი“ არ წაქცეულა, მეტიც, ჩემპიონთა თასი მოიგო.

ნამდვილი პასუხი კი ალბათ სახალხო და უბრალოა: სერ ალექსს ყელში ამოუვიდა თმები, საყურეები, სვირინგები, ჰოლივუდები, ვიქტორია პოშები, პოდიუმები, ჯორჯო არმანები და სხვა ისეთი რამეები, რომლებსაც ფეხბურთთან კავშირი არა აქვს. ანუ ის ყველაფერი, რაც არა აქვს, ვთქვათ, როი კინს, რომელსაც ბუცი არასოდეს მოხვდება თავში.

ამბობენ, რომ ბექჰი დიდად არ დააკლდება „მანჩესტერს“. მგონია, რომ დააკლდება, თუმცა ეს დანაკარგი მალევე მოხერხებულად შეივსება.

ბილ შენკლი იტყოდა მავანის თაობაზე: მას ისეთი ხასიათი აქვს, როგორც წვიმა მანჩესტერში. თუმცა წვიმა მანჩესტერში ხანდახან გადაიღებს ხოლმე.

ბექჰს კი მზიანი ქალაქებისკენ გაურბის თვალი.



ხორდი კრუიფი „ბარსელონას“ დევიდ ბექჰემს უწონებს

## ევროპა

ბექჰემიადის მორიგი წერილი „მილანით“ დავიწყოთ, ოღონდ გაფრთხილებთ, თუ ვერაფერი გაიგეთ, ჩვენი და თქვენი ბრალი არ არის — თავად ამბავია ძალიან დაბლანდული, რაც, ეჭვი არაა, ამ საქმით სახელის მოხვეჭის, ხელის მოთბობის და თანამდებობის მოპოვების მსურველებს ფრიად აძლევთ ხელს. ჩვენც რა გვენაღვლება?

მოკლედ, „მილანით“ დავიწყოთ: კლუბმა ხუთშაბათს თავის საინტერნეტო ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა განცხადება, რომ არც დევიდ ბექჰემის ყიდვას აპირებს, არც ფრანჩესკო ტოტისას და არც იაპ სტამისას.

„ვინც ტოტისთან, ბექჰემთან და სტამთან დაკავშირებულ ამბებს იგონებს, არარსებული პრობლემების შექმნით არის დაინტერესებული. ამ საკითხებზე საუბარიც არ არის, რადგან „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია და მის ფეხბურთელთაგან შესაცვლელი არავინაა“. — წერია ვებ-გვერდზე.

დაახლოებით ასეთი რამ, ოღონდ უფრო რბილად და, რაც მთავარია, კლუბის პრეზიდენტის იტალიის პრემიერ მინისტრის სილვიო ბერლუსკონის სახელით, განაცხადა „შავ-წითელთა“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმაც: „თუ ახალი ვარსკვლავის მოყვანა უკვე არსებულის შეწირვას გულისხმობს, გვიჯობს, გამოცდილ და შეჩვეულ ფეხბურთელებს ვენდოთ, რომლებმაც გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგა და იტალიის თასი მოიგეს“.

ნუ დავივიწყებთ, რომ გალიანი ერთი ხნის წინ ქომაგებს სატრანსფერო სენსაციას, ანუ დევიდ ბექჰემის ყიდვას ჰპირდებოდა, ხოლო ბერლუსკონიმ ახლახან თქვა, ბექჰემის ყიდვას ფულის სხვანაირად დახარჯვა სჯობსო. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „მილანს“ ინგლისელის ყიდვა ძალიანაც სურდა და, ალბათ, დღესაც სურს, მაგრამ კონკრეტულ სატრანსფერო პრობლემებს წააწყდა და ქცევასა და განცხადებებში უფრო თავშეკავებული გახდა. აქედანვე შეიძლება დავასკვნათ, რომ „მილანი“ თვალთმაქცობს და რალაც საბაზრო მოსაზრებიდან გამომდინარე გადამწყვეტი მომენტის წინ თავგზას გვირევს — ეს ფეხბურთელებით ვაჭრობისას ფრიად გავრცელებული ხერხი გახლავთ. აბა, თავად განსაჯეთ, „მილანის“ საინტერნეტო ვებ-გვერდი ერთს წერს, ხოლო ინგლისური გაზეთი „სანი“, რომელიც კულისებსმიღმა ამბების დიდოსტატია და თითო ინფორმაციაში მზადაა აურაცხელი ფული გადაიხადოს, ამბობს, რომ ბექჰემს ანდრეი შევჩენკოს ზურგსუკან მილანში მეშვიდე ნომერს დაპირდნენ, ხოლო უკრაინელს შეაპარეს, თუ ბექჰემი შევიძინეთ, მაისურა დაუთმე და მილიონი ჩვენზე იყოსო.

შევჩენკოს აგენტი ფაბიო პარიზი: „თავის დროზე ანდრეიმ კონტრაქტშიც ჩააწერინა, რომ მისი ნომერი შვიდი იქნება“.

ერთი სიტყვით, ბედნიერ ციფრს შევჩენკო ცოცხალი თავით არ დათმობს, გნებავთ, მილიონი შეაძლიონ და გნებავთ, სხვა ხრიკი მოიგონონ — შევჩენკომ ახლახან „მილანს“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა, ასე რომ, პირველი კაცია და მისთვის ნომრის დათმობა საყვარელი ციფრის დათმობასთან ერთად, მდგომარეობის დათმობასაც ნიშნავს.

ნომრის დათმობაზე კი „რეალი“ გაგვახსენდა, სადაც, რამდენიმე წლის წინ, ახალმისულმა ზინედინ ზიდანმა უხმოდ და უპრეტენზიოდ ჩაიცვა ხუთნომრიანი მაისურა. ბექჰემზე „რეალშიც“ ფიქრობენ, გუშინ თუ გუშინწინ მადრიდელთა დირექტორს, ყოვლისშემძლე ხორხე ვალდანოს პრეზიდენტისთვის, ფლორენტინო პერესისთვის უთქვამს, მომეცით ბექჰემი და მსოფლიოს თქვენს ფერხთ გავაგორებო.

„საფეხბურთო სამყაროში არსებობენ კერპები, რომელთა შორის უდიადესი ბექჰემია — უთხრა ვალდანომ ინგლისურ პრესას — დღეს „რეალში“ ლათინური მენტალიტეტი სჭარბობს, ფეხბურთელთა უმრავლესობა სამხრეთელია. ჩვენთან არიან რონალდო და რობერტო კარლოსი, წარმოშობით არაბი ზიდანი, არგენტინელი სოლარი, ფრანგი მაკელელე და, ცხადია, ესპანელები, ასე რომ, ამ ფონზე ჩრდილოელი ბექჰემი ძალიან საინტერესოდ და მიმზიდველად გამოჩნდება“.

ერთი სიტყვით, „რეალი“ სერიოზულადაა ბექჰემის ყიდვით დაინტერესებული და „მილანთან“ ვაჭრობაში შეჯიბრებას აპირებს. გავიხსენოთ, რომ თავიდან ორივე კლუბმა დაახლოებით ერთნაირი წინადადებით მიმართა „მანჩესტერ იუნაიტედს“ — 12 მილიონი ინგლისური გირვანქა და ორი ფეხბურთელიო, მაგრამ ინგლისელებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ მათ მხოლოდ ფული აინტერესებთ. სწორედ ამ დროს ჩაერია საქმეში „ბარსელონას“ პრეზიდენტობის კანდიდატი ხუან ლაპორტა, რომელმაც მხოლოდ ფულის გადახდაზე სიხარულით განაცხადა თანხმობა და ამით ვარსკვლავის ფასი 24 მილიონიდან 30 მილიონამდე გაზარდა. ახლა „რეალი“ და „მილანი“ ბარსელონაში საპრეზიდენტო არჩევნებს ელიან. არჩევნები ხვალაა. თუ ლაპორტა გაიმარჯვებს, სურათი ერთნაირი იქნება, თუ დამარცხდება, მეორენაირი — ბექჰემი ისევ 24 მილიონი ეღირება. აქვე გავიხსენოთ ლაპორტას კონკურენტის, ლუის ბასატის აღშფოთება, გუნდი ვალებში გვყავს და ეს კაცი 30 მილიონ გირვანქას საიდან გამოდის თუ მატყუარა არ არისო.

ისე კი, ბარსელონაში ბექჰემზე მხოლოდ ლაპორტა კი არ ოცნებობს, არამედ მთელი მისი ბანაკი და მათ შორის, ერთი შეხედვით ჩრდილში მდგომი 56 წლის იოჰან კრუიფი. კრუიფის გულის ნადები მისმა ვაჟმა, ხორდიმ გათქვა. უფრო სწორად, ის კი არ უთქვამს მამაჩემი ასე და ასე ფიქრობსო, თავისი ილაპარაკა, მაგრამ საეჭვოა მისი აზრი იოჰანის აზრისგან განსხვავდებოდეს. მოგეხსენებათ, ხორდი ერთიხანობა „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდა და ბექჰემს კარგად იცნობს.

„დევიდ ბექჰემზე უკეთესში, „ბარსელონა“, ვერაფერში დახარჯავს ფულს. „ბარსას“ ჯილდოების მოსაპოვებლად და თავმოყვარეობის აღსადგენად ორი ვარსკვლავი სჭირდება, ბექჰემი კი ზედგამოჭრილი კანდიდატურაა. დევიდი ყველა კუთხით იდეალურია — სპორტული, მარკეტინგული, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა. იგი გუნდსა და ქომაგებს შორის ურთიერთობას დაალაგებს. ამასთან მისი გუნდში ყოფნა გოლების გარანტიაცაა — სეზონში, გოლების 25 პროცენტს თვითონ შეაგდებს. დევიდი საჯარიმოში ბურთს ბრწყინვალედ ჰკიდებს, ღია თამაშიდან კარში უმიზნებს, ჯარიმებისას უბადლოა და ნამდვილი ლიდერი გახლავთ. ხალხი ხშირად ვერ აფასებს მის გაწეულ შავ სამუშაოს. ერთი სიტყვით, ბექჰემში ფულის დაბანდება უეჭველად მომგებიანია. რამდენიმე წელიწადში მისი ხათრით კლუბის ატრიბუტიკა ისეთი რაოდენობით გაიყიდება, რომ კლუბი სარგებელს ნახავს“ — თქვა ხორდიმ.

## აზია

წავა დევიდ ბექჰემი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“? დარჩება? აზიაში საკითხავი აი, რა არის! ორშაბათს ის იაპონიაში ჩავა, სადაც მისი პოპულარობა განუზომელია. მიზანი: პრომოუშენი! ესე იგი, ხალხთან შეხვედრა, ბურთის გაგორება-გამოგორება, ფოტოების გადაღება, ავტოგრაფების დარიგება... მის სახესა და სახელს იაპონიიდან ინგლისში დიდი ფული მოაქვს, გაზეთ „ობზერვერის“ თანახმად, 335 მილიონი დოლარი.

„საოცარი ფენომენია — ამბობს ბექჰემზე ლონდონური სააგენტოს, „კონ ენდ ვოლფის“ პი არ-ის ექსპერტი კარენ ოსბორნი — განა ბევრია ისეთი, სპორტული ვარსკვლავობიდან საზოგადო ვარსკვლავობაში რომ გადააბიჯებს და ისტორიაში დარჩება? ის ძალიან ფოტოგენურია და ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. ხალხი მას თანაუგრძნობს, რადგან ყოველთვის გმირულად არ იქცეოდა. ჰქონდა პრობლემები, საჯაროდაც უტირია და ამით ხალხის გული მხოლოდ მოუგია.“

და ეს კაცი აზიელთა კერპია!

ანალიტიკოსებიც ხელად ჩაუსხდნენ და ჩაუღრმავდნენ საკითხს: ვინ რას დაკარგავს თუ ბექჰემი „იუნაიტედიდან“ „ბარსაში“, „მილანში“ ან „რეალში“ წავა? იკვლიეს, იკვლიეს და აღმოაჩინეს, რომ აზიელთა მენტალიტეტი ინგლისელთა მენტალიტეტისგან განსხვავდება, აზიელები კლუბის ერთგულნი არ არიან, მათ ვარსკვლავი უყვართ.

„ერთხელაც აღარ შევხედავ „მანჩესტერის“ თამაშს — თქვა მვანმა ჩინელმა და ამით აღმოსავლეთის აზრი გამოხატა.

ჩვენი აზრით ეს, მაინც და მაინც, გასაკვირი არ უნდა იყოს. ვეჭვობთ, შანხაელი ქომაგი თავის „შანხაი შენხუას“ ყოველ ვითარებაში დაუჭერს მხარს, გინდა ეს შემადგენლობა იყოს, გინდა ის, „იუნაიტედი“ კი მისთვის მაინც შორეული, უცხო ქვეყნის გუნდია და თუ იმ გუნდში ერთი ფეხბურთელი ამოიჩემა, მას „გაჰყვება“ სხვაგანაც. იქნებ ცუდი შედარება იყოს, მაგრამ „ბიტლები“, მიუხედავად იმისა, რომ ლივერპულელები არიან, თუ კონცერტს ნიუ იორკში მართავენ, ხალხის ყურადღება ნიუ იორკისკენ ირთვება და რა ხდება ამ დროს ლივერპულში, ნაკლებად მნიშვნელოვანია. ამაზე ადგილობრივმა მოსახლეობამ იზრუნოს.

ასეა თუ ისე, ანალიტიკოსებმა ამ ამბავს ყურადღება მიაქციეს და გამოითვალეს, რომ შორეულ აღმოსავლეთში დაფიქსირებული 16 მილიონი ქომაგიდან, მესამედი ფეხბურთელს უჭერდა მხარს და არა „მანჩესტერ იუნაიტედს“. ტაილანდში, ბუდისტური ტაძრის ერთ-ერთ ფიგურაზე ბუდას სხეულზე ბექჰემის თავია, ხოლო ორი წლის წინ, ბანგკოკში ჩასულ ვარსკვლავს ათასობით ადამიანი აეროპორტში დახვდა.

ჰანოიში, „იუნაიტედის“ სავარძო მაღაზიის გამყიდველმა ბექჰემის სახით დამშვენებული საგნების გაყიდვის ტემპს პარაფრენია უწოდა — მიზოფრენიასაც აღარ დასჯერდა.

„ბავშვები ასდოლარიან ნივთებს დაუფიქრებლად იძენენ“ — თქვა მან.

თუმცა ცხადია, არიან ისეთებიც, ვინც გუნდს ქომაგობს და არა ბექჰემს, განსაკუთრებით მალაიზიასა და სინგაპურში. ამ რეგიონში „იუნაიტედის“ ფან კლუბის მდივანმა, ლორენს ჰოუმ გაღიზიანებით თქვა: „ის მარტო გოგოებს მოსწონთ. სადაც უნდა, იქ წასულა“.

## შენ დაუკარ!

და, აბა, გამოიცანით, ამ ალიაქოთში, ამბის ერთ-ერთი მთავარ გმირთაგან ვინ ქეიფობს... ხომ გითხარით, „სანი“ ყველაფერს გამოიკვლევს და თავის კაცს ყველგან შეაგზავნისო — არ ერიდება ფულის ხარჯვას.

ვინ ქეიფობს და ბრიტანეთის იმპერიის რაინდი, სერ ალექს ფერგიუსონი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი. იგი მძიმე სეზონის შემდეგ საფრანგეთის რივიერაზეა მეუღლესთან, კეტისთან ერთად, ქალაქ კაპ ფერაში. „სანმაც“ არც აცია, არც აცხელა და თავისი ჟურნალისტი აფრინა ცისფერ სანაპიროზე.

ჟურნალისტმა გამოიკვლია, რომ სასტუმროში სერ ალექსი დღე-ღამეში 870 გირვანქიან ნომერს ქირაობს (დაახლოებით 1400 დოლარს იხდის) და ქეიფობს — ბარში ყველა უყურებდა, როგორ წამოიჭრა, პიანისტს ვერდში ამოუდგა და „დენი ბოი“ იმღერაო. სიმღერის შემდეგ პიანისტისთვის თავად მოუწყია ოვაცია.

სხვათა შორის, სიმღერის სახელწოდებამ „სანის“ ჟურნალისტს ფანტაზია გაუხალისა და დააწერინა, „დენი ბოის“ რომ მღეროდა, „დევიდ ბოის“ გულისხმობდა და ფრიად იმპროვიზირებულადაც ამბობდა რალაცეებსო. ერთი სიტყვით, კუდი მოაბა, ფერგიუსონის მოლხენა გუნდიდან ბექჰემის წარმატებული გაგდებით იყო გამოწვეულიო.

სასტუმროს მაცხოვრებელთა გამოკითხვამაც აჩვენა, რომ სერ ალექსი მაინცდამაინც შეწუხებული არ უნდა იყოს. ისვენებს და ლაღობს კაცი.

**პაპუნა ბედია**





აზიაში დევიდ ბექჰემის კულტია...



... ალექს ფერგიუსონს კი ბექჰემის სატრანსფერო რია-რია სულაც არ აინტერესებს

# მე თქვენ გიყიდით... კვირას დასრულდება
## ბარსელონას ექვსი მომავალი

*ხვალ „ბარსელონაში" საპრეზიდენტო არჩევნებია. რბილ სავარძელზე პრეტენზიას ექვსი კანდიდატი აცხადებს. შედეგები ჩვენი დროით, უკვე ორშაბათს, დღის სამი საათისთვის იქნება ცნობილი.*

*არჩევნების თაობაზე აქამდე არაერთხელ დაგვიწერია და კანდიდატთა წინასაარჩევნო დაპირებებიც დაწვრილებით გაგვირჩევია. ახლა, არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, მხოლოდ ის დაგვრჩენია, ადრე ნათქვამ-დაწერილს რეზიუმეს სახით თავი მოვუყაროთ.*



**ხაიმე ლაურადო, 59 წლის. ბიზნესმენი**

**საარჩევნო დევიზი: სათავეებიდან მომავლისკენ**

თავისი წინასაარჩევნო პოლიტიკა ხმაურიან ტრანსფერზე ააგო. ამომრჩევლებს ჯერ „აიაქსის" რუმინელ კაპიტან კრისტიან კივუს დაჰპირდა, მაგრამ ამით ბევრი მომხრე რომ ვერ შეიძინა, „ინტერის" სუპერფორვარდ კრისტიან ვიერის გადასწვდა. გუშინ კი მან განაცხადა, რომ „რეალის" ძირითადი შემადგენლობის მავანი ფეხბურთელის გადაბირებას აპირებს.

**შანსი:** საშუალო

**ხოსეპ მარტინეს როვირა, 59 წლის. პუბლიცისტი**

**საარჩევნო დევიზი: გრძნობა და ძალა**

„ბარსას" ყოფილი დიდი პრეზიდენტის, ხოსეპ ლუის ნუნიესის მხარდამჭერის გარდა, არანაირი კოზირი არ აქვს. ეს კი ცოტაა. ერთ ხანს „მანჩესტერიდან" რუუდ ვან ნისტელროის გადაბირებაზე ლაპარაკობდა, მაგრამ საქმე ლაპარაკს ვერ გასცდა.

**შანსი:** საეჭვო





**ხუან ლაპორტა, 40 წლის. იურისტი**

**საარჩევნო დევიზი: „ბარსელონა" უპირველეს ყოვლისა**

თავიდან ფავორიტად არ ითვლებოდა, მაგრამ ამომრჩევლებს დევიდ ბექჰემს დაპირდა და უამრავი ხალხი მოიმხრო. თან დაამტკიცა, რომ დაპირება ლიტონი სიტყვები არ არის. ბექჰემის გარდა, ხუთ სხვა ფეხბურთელის მიყვანასაც აპირებს, რისთვისაც 50 მილიონი ევრო ინვესტიციის მიზიდვა შეუძლია. ამ ხუთიდან ორი მსოფლიო კლასის ფეხბურთელია, თუმც ვინაობას არ ამხელს. პრეტენდენტთაგან ყველაზე ახალგაზრდა და ენერგიულია. კამერებთან თავი კარგად უჭირავს.

**შანსი:** ბრწყინვალე



**ლუის ბასატი, 61 წლის. პუბლიცისტი**

**საარჩევნო დევიზი: ჩვენ გავიმარჯვებთ**

სამი წლის წინანდელ არჩევნებში ხუან გასპართან დამარცხდა, ახლა კი უმთავრეს ფავორიტად ითვლებოდა. მსხვილი საგამომცემლო ფირმის მეპატრონემ თავის ბანაკში პეპ გვარდიოლა მიიყვანა, რითაც კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიცია. მაგრამ ბოლო ხანს ლაპორტამ ბექჰემის დაპირებით მას დაახლოებით მხარდამჭერთა 20 პროცენტი წაართვა. მიუხედავად ამისა, მისი პოზიცია მაინც ძალიან მყარია.

**შანსი:** ძალიან კარგი



**ხორდი მახო, 53 წლის. ბიზნესმენი**

**საარჩევნო დევიზი: ბარსელონა გაბრწყინდება**

ხალხს „პსვ ეინდჰოვენის" ფორვარდ მატია კეჟმანს ჰპირდება. კეჟმანი კი დიდვარსკვლავი სულაც არ არის, თუმც წლეულს ჰოლანდიის ჩემპიონატში 38 გოლი გაიტანა. საინტერესოა, რომ თუ პრეზიდენტად მას აირჩევენ, სპორტულ დირექტორად ჩოგბურთის ოდინდელ ვარსკვლავს, სერხი ბრუგერას დანიშნავს.

**შანსი:** თითქმის არანაირი

**ხოსეპ მარია მინგუელა, 62 წლის. გადამდგარი საფეხბურთო აგენტი**

**საარჩევნო დევიზი: 4-3-2-1 მანგუელა ყველაზე ძლიერია**

დევიზში რიცხვების მნიშვნელობა თუ ვერ გაიგეთ, ან როგორ გაიგებდით, მოგახსენებთ, რომ 4321 მისი კლუბის წევრობის წიგნაკის ნომერია. თავის დროზე მას რამდენიმე საინტერესო ტრანსფერი გაუხერხებია, რაც დღესაც სალაპარაკოდ აქვს. აი, სულ ეს არის.

**შანსი:** არანაირი



---

# ესპანეთი

გიორგი დარჩანია

# ორასი კუში

| XXXVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვალიადოლიდი | — | რაიო ვალეკანო |
| **ხვალ** | | |
| ოსასუნა | — | ალავესი |
| ბეტისი | — | რასინგი |
| ესპანიოლი | — | ვილიარეალი |
| ბილბაო | — | დეპორტივო |
| ატლეტიკო | — | რეალი |
| სელტა | — | სოსიედადი |
| ვალენსია | — | ბარსელონა |
| მალაგა | — | სევილია |
| უელვა | — | მალიორკა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 36 | 21 | 10 | 5 | 66:42 | 73 |
| რეალი | 36 | 20 | 12 | 4 | 79:41 | 72 |
| დეპორტივო | 36 | 21 | 6 | 9 | 63:43 | 69 |
| სელტა | 36 | 16 | 10 | 10 | 42:32 | 58 |
| ვალენსია | 36 | 16 | 9 | 11 | 52:32 | 57 |
| ბილბაო | 36 | 14 | 10 | 12 | 59:56 | 52 |
| სევილია | 36 | 13 | 11 | 12 | 36:33 | 50 |
| ბარსელონა | 36 | 13 | 11 | 12 | 58:46 | 50 |
| მალიორკა | 36 | 13 | 9 | 14 | 47:55 | 48 |
| ბეტისი | 36 | 12 | 12 | 12 | 47:49 | 48 |
| ატლეტიკო | 36 | 12 | 11 | 13 | 51:49 | 47 |
| რასინგი | 36 | 13 | 5 | 18 | 50:57 | 44 |
| ვილიარეალი | 36 | 11 | 11 | 14 | 40:46 | 44 |
| მალაგა | 36 | 10 | 13 | 13 | 41:46 | 43 |
| ესპანიოლი | 36 | 10 | 12 | 14 | 45:50 | 42 |
| ვალიადოლიდი | 36 | 11 | 9 | 16 | 34:39 | 42 |
| ოსასუნა | 36 | 10 | 11 | 15 | 33:44 | 41 |
| ალავესი | 36 | 8 | 10 | 18 | 35:63 | 34 |
| უელვა | 36 | 8 | 10 | 18 | 34:60 | 34 |
| რაიო | 36 | 7 | 10 | 19 | 31:60 | 31 |

*თანაბარქულიან გუნდებს შორის უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის მქონეს*

**თქვენი ნებართვით,** ანონსის წერის ტრადიციულ ფორმას ვუღალატებთ და პრიმერადივიზიონის ბოლოსწინა ტურის ანონსს, „ქართულმეკუშურად" გავარჩევთ.

ცაზე ვარსკვლავების განლაგება და ათასგვარი შამანური რალაცეები გვეუბნებიან, რომ „დეპორტივო" „ბილბაოს" მოუგებს, „ატლეტიკო" — „რეალი" „ადინ-იქსი" დამთავრდება, „სელტა" და „სოსიედადი", ისევე როგორც „ვალენსია" და „ბარსელონა", ფრეზე გაიყრებიან, „სევილია" მალაგაში გაიმარჯვებს, ხოლო „ბეტისი" — „რასინგი" უეჭველი ერთიანია.

მაგრამ ყველაფერს დასაბუთება უნდა და ჩვენც შევეცადოთ.

„სოსიედადმა" და „რეალმა" ხვალ რომ მოიგონ, „დეპორტივოს" მეორე ადგილზე გასვლის შანსი ეკარგება, არადა, უნდა — მეორე ადგილით პირდაპირ ჩემპიონთა ლიგაში ხვდება. „დეპორი" საბოლოოდ მეორეზე ალბათ ვერ გავა, მაგრამ ეს ამბავი ბოლო ტურში უნდა გადაწყდეს, თორემ ერთი კვირის მერე „დეპორტივო" — „ესპანიოლის" მატჩს აზრი ეკარგება.

ცხადია, იგულისხმება, რომ „სოსიედადმა" და „რეალმა" ვერ უნდა მოიგონ, თავად „დეპორტივომ" კი ბილბაოდან სამი ქულა წაიღოს. თან ამით, ლაკორუნიელები ორ კურდღელს დაიჭერენ — ბოლო ტურში „რეალი" — „ბილბაოა" და ახლა თუ დაამარცხეს, ბოლო ტურში ბასკები იძულებულები ხდებიან, „რეალს" ქულები აართვან, რათა უეფას თასზე მოხვდნენ. ესეც „სუპერდეპორის" წისქვილზე ასხამს წყალს.

კეთილი, ამ გათვლით, „სოსიედადმა" ვერ უნდა მოიგოს, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ფრე? „დეპორს" ხომ ურჩევნია, სანსებასტიანელები ვიგოში დამარცხდნენ? „დეპორტივოს" კი ურჩევნია, მაგრამ აქ „ვალენსიას" ინტერესებია გასათვალისწინებელი. „სელტამ" რომ მოიგოს, „ვალენსიამ" კი ვერა — მეოთხე საჩემპიონთალიგო ადგილის ბედიც ამ ტურშივე გადაწყდება, რაც დაუშვებელია. ამ შემთხვევაში, „სევილია" — „ვალენსიას" ბოლო ტურის მატჩსაც აზრი ეკარგება. ანუ გადავწყვიტეთ, რომ ამ ტურში არც „სელტამ" უნდა მოიგოს და არც „სოსიედადმა", ესე იგი ფრეა.

მაგრამ ვერ უნდა მოიგოს „ვალენსიამაც", რაკი „ბარსა" თუ დაამარცხა, კატალონიელებს უეფას თასზე გასვლის შანსი ეკარგებათ — მართალია, „ბილბაოც" აგებს, მაგრამ რაკი ბოლო ტურში ბასკებმა „რეალს" ერთი ქულა უნდა აართვან, გამოდის, რომ „ბარსელონას" ვალენსიაში უეჭველად ქულა სჭირდება. თან დახეთ, რა ხდება: „ბარსა" ბოლო ტურში „ვალენსიას" კონკურენტ „სელტას" ხვდება, ხოლო „ვალენსია" — „ბარსას" კონკურენტ „სევილიას". ჰოდა, გარიგებას წინ რა უდგას? ჯენტლმენურად შეთანხმდებიან, ახლა ერთმანეთში ფრე ვითამაშოთ, ბოლო ტურში კი ერთმანეთის დავეხმაროთო.

და რაკი ბოლო ტურში „სევილია" აუცილებლად უნდა იყოს „ბარსელონას" კონკურენტი, ამისთვის ხვალ „მალაგას" უნდა მოუგოს.

მოკლედ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, წრე შეიკრა. და თუ იკითხავთ, თავში რომ ახსენეთ, „ბეტისი" — „რასინგის" უეჭველი ერთიანი საიდან მოიტანეო, გიპასუხებთ: ვარსკვლავების განლაგება და სხვა შამანური რამე-რუმეები, ძმაო.

და თუ ყველა ჩვენს რჩევას გაითვალისწინებთ, ორას „კუშზე" მეტი გამოგივათ. მეტი რა გინდათ?



ვარსკვლავები გვამცნობენ: „ვალენსია" და „ბარსელონა" ხვალ ფრეზე გაიყრებიან




რეინალდ დენიო და „სოსიედადი" ჩემპიონობასთან ძალიან ახლოს არიან

# 55 და ერთი თვე

## ბასკთა ფრანგი დენიოსი

*1948 წლის 14 მაისს საფრანგეთში, რუანში დაიბადა. რეინალდ დენიო გამორჩეული მობურთალი არ ყოფილა. 1982-დან 1997-ის ჩათვლით „ნანტის" საფეხბურთო სკოლაში ბავშვებს ავარჯიშებდა. მოზარდებს თხუთმეტი წელიწადი შეალია. ბოლოს დაუფასდა. 1997 წელს „ნანტის" მთავარ მწვრთნელად დანიშნეს.*

*ოთხი წელი იმუშავა და იცით, რამდენი მოასწრო? 1999 და 2000 წლებში საფრანგეთის თასი და სუპერთასი მოიგო, 2001-ში კი ჩემპიონი გახდა. მომდევნო სეზონში, 2001-ის შემოდგომაზე, „ნანტის" მეპატრონემ შედეგები დაუწუნა და გუნდიდან დაითხოვა.*

*შარშან, პირველ ივლისს, სან სებასტიანის „რეალ სოსიედადის" პრეზიდენტმა ხოსე ლუის ასტიასარან ირიონდომ ათიანში მოარტყა — რეინალდ დენიო გუნდის მწვრთნელად დანიშნა.*



ფრანგ სპეციალისტს ზუსტად ერთი თვის წინ 55 წელი შეუსრულდა. პრიმერადივიზიონის ჩემპიონობამდე „სოსიედადს" ორი მოგება და ექვსი ქულა აშორებს. სან სებასტიანში ჩემპიონობით ბოლოს ოცდაერთი წლის წინ გაიხარეს. ბასკები გამეორებას ელიან.

რეინალდ დენიომ „სოსიედადში" რა მიიტანა და ვინ მიიყვანა? — ვარჯიშების მისებური მეთოდი და სანდერ ვესტერფელდი — „ლივერპულიდან" თითქმის გაგდებული მეკარე.

გუნდში დახვდნენ დარკო კოვაჩევიჩი და ნიჰათ კაჰვეჩი, როგორც ხშირად ამ თურქ ფეხბურთელს მოიხსენიებენ. არადა, კაჰვეჯია, რაც ქართულად ყავის მოდუღების დიდოსტატს, მარტივად კი ყავის მომდუღებელს ნიშნავს. ეტყობა, მისი პაპის მამა და იმის მამაც ყავახანას პატრონობდნენ.

ნიჰათისა და დარკო კოვაჩევიჩის შემტევი წყვილი, ხაბი ალონსო, ფრანსისკო დე პედრო, ვალერი კარპინი ახალი მწვრთნელის ხელში ხელმეორედ დაიბადნენ.

ფეხბურთელები იგივე, მწვრთნელი — სხვა. წარმატების საიდუმლო? ვარჯიში, ოღონდ ისეთი ვარჯიში კი არა, ზოგადესპანურმა გუნდებმა რომ იციან, სულ სხვაგვარი, დენიოსებური. კვირაში ოთხჯერ, დღეში ორჯერ. ესპანური გუნდებისთვის მსგავსი რეჟიმი კატორღული შრომის ტოლფასია. სწორედ ასეთი შრომის ხარჯზე ცოცხლობს „სოსიედადი".

აქვე დიდი ხოსეპ გვარდიოლას ნათქვამი უნდა გავიხსენოთ — „ბრეშაში" რომ გადავედი, ტრენაჟორებზე პირველად მაშინ ვივარჯიშეო. რეინალდ დენიოს ბიჭებისთვის კი ტრენაჟორები და ფიზიკური დატვირთვა აუცილებელი საკვებივით გახდა.

ასეთი მომზადება რომ არა, განა მცველი აიტორ ლოპეს რეკარტე ერთ სეზონში 3 225 წუთს მოედანზე გაატარებდა?

ესპანელი ჟურნალისტი გილიომ ბალაგე დააკვირდა, დაითვალა და აღმოაჩინა: გუნდების უმეტესობა „სოსიედადს" დაახლოებით 70 წუთის მანძილზე უძალიანდება, მაგრამ ბოლო ოც წუთში რეინალდ დენიოს ბიჭები ისე მოულოდნელად მოუმატებენ, რომ მათი გამკლავება თითქმის ყველას უჭირს.

ფრანგი სპეციალისტი, თუ არავინ დაუშავდა, ორზე მეტ ცვლილებას იშვიათად იყენებს. მისი ფეხბურთელებიდან რვამ პრიმერადივიზიონის 30-მდე მატჩი შეუცვლელად ითამაშა.

ზოგიერთი ამბობს, ევროთასებიდან მოცლილი „სოსიედადი" სხვა ლიდერებზე მეტად დასვენებულია და ჯანიც მისდევსო, მაგრამ ეს ფაქტი რეინალდ დენიოს გარჯას მგონი, ვერ დააკნინებს.

„სოსიედადის" თემა რეინალდ დენიოსა და „ფრანც ფუტბოლის" მცირე გასაუბრებით დავასრულოთ.

*— როგორ გრძნობთ თავს, როცა ზურგს უკან მადრიდის „რეალი" ქშინავს?*

— მშვიდად. „ვალენსიასთან" ძვირფასი ორი ქულა დავკარგეთ, მაგრამ პირველ ადგილს ვინარჩუნებთ. ჩემთვის სულ ერთია, ვინ გვიდგას კვალში.

ჩემპიონი დარჩენილ ორ ტურში გაირკვევა. „დეპორტივოსაც" ვერ ჩამოვწერ, მაგრამ ჩვენ საქმე მდევრებზე უკეთ გვაქვს. ახლა მიზანთან ძალიან ახლოს ვართ და ეს არ გვრთგუნავს, პირიქით, უფრო მეტად გვამხნევებს.

*— „სოსიედადი" რომ ჩემპიონი გახდეს, თავად ხვდებით, დიდი ზარ-ზეიმი გაიმართება...*

— გარწმუნებთ, ტრაგედია არც მეორე ადგილი იქნება. გუნდმა სეზონის დასაწყისიდან რაც ჩაიდინა, უკვე ფანტასტიკაა. ხომ ასეა? ხანდახან საკუთარი ხორცის ჩქმეტა მინდა, რადგან თავი სიზმარში მგონია. ცხრილს რომ ვუყურებ, თავს ვეუბნები: „ღმერთო ჩემო, მე პირველი ვარ!"

*— ორი წლის წინანდელი „ნანტი" გაიხსენეთ და „სოსიედადს" შეადარეთ...*

— შედარება არც შეიძლება, მაშინდელი „ნანტი" საფრანგეთში კონკურენტებს ერთი თავით სჯობდა. ბასკურ გუნდზე იგივეს ვერ ვიტყვი. არადა, საოცარია — „დეპორტივოს", მადრიდის „რეალს" და „ვალენსიას" ვუსწრებთ!

ხანდახან პრიმერადივიზიონის ჩემპიონობას რომ წარმოვიდგენ, უცნაური შიშის გრძნობა მიპყრობს. როგორია, ამ ვეშაპებს აჯობო?! გადავწყვიტე, აღარ ვიოცნებო და მხოლოდ მორიგ მატჩზე და მეტოქეზე ვიფიქრო.

*— თქვენი მოქიშპენი ამტკიცებენ, რომ „სოსიედადი" დარჩენილ ორ ტურში ქულას ვერ მოიხვეჭს...*

— მათი ლაქლაქი არ მადარდებს. მეც შემიძლია, გითხრათ — ისინიც დაკარგავენ ქულებს. ისე კი, პრიმერადივიზიონის დასაწყისშივე ჩემპიონობისთვის მებრძოლი სამი-ოთხი გუნდი მეგულებოდა. მაგრამ აგერ, „დეპორტივო" ზედიზედ ორჯერ დამარცხდა და მატარებელს ჩამორჩა.

*— ზემშვიდი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებთ...*

— სანერვიულო რა მაქვს? სეგუნდადივიზიონში გავარდნა რომ გვემუქრებოდეს, სხვა საქმეა. ჩემი სიმშვიდე ჩემს ფეხბურთელებზე გადადის.

# წავიდე, უფროსო?

## არაგონესი სიტყვას ელის

*ლუის არაგონესს თავისი სამწვრთნელო კარიერის არცთუ დალხინებული დრო-ჟამი უდგას. მისი „ატლეტიკო" პრიმერადივიზიონის ლიდერთაგან შორს, არაფრისმომცემ მეთერთმეტე ადგილზე განისვენებს, ხოლო კლუბის თავკაცობა არაგონესს მოწყალე მზერით აღარ ანებივრებს. ხვალ კი მძვინვარე დერბია, „ატლეტიკო" „ვისენტე კალდერონზე" თანაქალაქელ მტერს, მადრიდის „რეალს" უმასპინძლებს. გთავაზობთ ესპანური „მარკას" ინტერვიუს ლუის არაგონესთან*

**— თქვენი ფეხბურთელების უმრავლესობა წლევანდელ პრიმერადივიზიონში მადრიდის „რეალის" გაჩემპიონების წინააღმდეგია. მწვრთნელიც მათ აზრს იზიარებს თუ სხვაგვარად ფიქრობს?**

— ჩემი აზრით, თუ მოთამაშე შეატყობს, რომ საკუთარი გუნდი ჩემპიონი ველარ ხდება, მისთვის სულერთი უნდა იყოს, ვინ იქნება სეზონის გამარჯვებული. თითოეულმა ფეხბურთელმა მხოლოდ მომავალი მატჩის მოგებაზე უნდა იზრუნოს. მე აბსოლუტურად გულგრილად მივიღებ რომელიმე კლუბის გაჩემპიონებას, თუ, რა თქმა უნდა, ეს კლუბი მადრიდის „ატლეტიკო" არ არის.

**— ლუის არაგონესის აზრით, რომელი უფრო კარგ ფეხბურთს თამაშობს, „რეალი" თუ სან სებასტიანის „სოსიედადი"?**

— ვერ გეტყვით, რომ წლევანდელ პრიმერაში ამ ორი გუნდის ყველა თამაში ვნახე, ისე, „რეალს" ცოტათი უკეთ ვიცნობ. ნათელია, დელ ბოსკეს შეგირდები სწრაფ და აგრესიულ ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას, მოწინააღმდეგეს გულარხეინად უტევენ, რადგან საკუთარი გუნდის უპირატესობაში არიან დარწმუნებულნი. ფიქრობენ, რომ მეტოქეზე ერთი გოლით მეტს ყოველთვის შეაგდებენ. სავსებით განსხვავებული გუნდია „რეალ სოსიედადი". მათი მთავარი საბრძოლო იარაღი კარგად ორგანიზებული დაცვაა. აღსანიშნავია აგრეთვე ორივე ლიდერის ტექნიკური არსენალი, განსაკუთრებით მადრიდელებისა.

**— კვირას დერბია...**

— „რეალი" მუდამ საშიში იყო და ახლაც ძლიერ საფრთხილოა. თუმცა, თუ მოვინდომებთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. წინა ტურების შედეგებს კი ყურადღებას არ მივაქცევთ.

**— თქვენი მომავლის შესახებ ვისაუბროთ. შეიძლება თუ არა უკვე იმის თქმა, რომ ლუის არაგონესი „ატლეტიკოსთან" თანამშრომლობას გააგრძელებს?**

— არა, ჯერ ამას ვერავინ იტყვის. ჩემი დარჩენა-არდარჩენის თაობაზე კლუბის ხელმძღვანელობასთან სერიოზული შეხვედრა მექნება. საკონტრაქტო ვალდებულებანი და მმართველთა სურვილები ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს. ამჟამად ვატყობ,



უფროსობას ჩემი წასვლა უნდა, თუმც კი უმჯობესი იქნებოდა, მე ვცდებოდე.

**— წლევანდელი პრიმერა წინა სეზონებზე უფრო რთული ხომ არ იყო?**

— სირთულე არ აკლდა, მაგრამ ჩემს პრაქტიკაში ამაზე ძნელიც ყოფილა. მინდოდა, გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ან უეფას თასზე მოხვედრილიყო, რაც, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა. პასუხისმგებლობის დიდი ნაწილი ამისთვის სწორედ მწვრთნელს ეკისრება.

**— როგორ მოგეწონებოდათ, შემადგენლობის არჩევაში უფრო მეტი უფლებები რომ მოენიჭებინათ?**

— მრავალ კლუბში უკვე არის მსგავსი შემთხვევები, თუმც მწვრთნელი და სპორტული დირექტორი ერთად უნდა მოქმედებდნენ, რაც ფრიად დელიკატური საქმეა.

**— ესე იგი, საერთო შეთანხმებაა საჭირო.**

— მართალს ამბობთ, მაგრამ აბა, დავფიქრდეთ — დავუშვათ სპორტულ დირექტორს რომელიმე ფეხბურთელი ძლიერ მოსწონს, ხოლო დამრიგებელს არც ისე. როგორ უნდა მოხდეს აქ შეთანხმება? გუნდში მოთამაშის მომყვანი ცდილობს, მისგან მაქსიმალური მოგება მიიღოს, ხოლო მწვრთნელი და ფეხბურთელი იმას აკეთებენ, რაც შეუძლიათ. ინგლისური ვარიანტი სჯობს, სადაც მთელი პასუხისმგებლობა ერთ კაცს — გენერალურ მენეჯერს ეკისრება.

სიახლე საქართველოში!
35 000 ნახატი, ნომრები
სპორტულ მაისურებზე,
წარწერები, აირჩიეთ და
დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების
სხვადასხვა მოდელის,
ფერის და ზომის მაისურებს
მრავალნაირი აპლიკაციით,
საცალო და საბითუმო ფასებში
სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49



# დელ ბოსკეს ასვენებენ?



მადრიდის „რეალის“ მწვრთნელს, ვისენტე დელ ბოსკეს, კლუბთან დადებული კონტრაქტის ვადა 30 ივნისს გაუდის, ასე რომ, იბადება კითხვა, შესთავაზებენ თუ არა მას თანამშრომლობის გაგრძელებას. ბუნებრივია, აქ ბევრ რამეს ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ორი ტური გადაწყვეტს, მაგრამ გაფრენილ სიტყვას რომ ვერ დააბრუნებ? „რეალის“ დირექტორმა, წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა, ხორხე ვალდანომ სვენ გორან ერიკსონი ახსენა.

დელ ბოსკემ ვალდანოს განცხადებაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „თუ კლუბი ჩემით უკმაყოფილოა, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია და მაშინ ახალი მწვრთნელის მოყვანა აჯობებს“.

„რეალი“ ერიკსონის მოხიბვლას ორჯერ ცდილობდა, პირველად მაშინ, როდესაც შვედს სურდა ჩემპიონთა ლიგა „ლაციოსთან“ ერთად მოეგო — 1999 წელს მაშინ „რეალმა“ ჯონ ტოშაკს გაუფორმა კონტრაქტი. მეორედ კი გასულ ზაფხულს, როდესაც შეიტყო, რომ ერიკსონს „ბარსელონა“ უახლოვდებოდა.

სვენ გორან ერიკსონი კი ინგლისის ნაკრებს უდგას სათავეში და გაისად ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანს.

ერთი სიტყვით, საქმე საორჭოფოა და უფრო განზრახ დაგდებულ ხმას ჰგავს, ვიდრე რეალურ გეგმას, მიუხედავად იმისა, რომ „რეალი“ ინგლისის ნაკრების კაპიტნის და ერიკსონის ფავორიტის, დევიდ ბექემის ყიდვითაა დაინტერესებული.

**ბაპუნა ძიძია**



ვინ თუ არა, პაველ ნედვედი...
ჩეხეთის ნაკრებისა და იტალიური „იუვენტუსის“ ლიდერი ჩეხმა ჟურნალისტებმა ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.
ეს „ოქროს ბურთი“ პაველ ნედვედს ბოლო ექვს წელიწადში მეოთხედ ერგო

# მოხეტიალე მხატვარი

*ოცდასამი წლის წინ ბრაზილიაში, პორტუ ალეგრიში, ერთი ელექტროშემდუღებლის ოჯახში ბალღმა დაიჩხავლა – რონალდო ასის დე მორეირა დაიბადა. მამამისმა მაშინ რა იცოდა, რომ მისი შვილის გამო 2003 წლის ზაფხულში ევროპული ბობოლა კლუბები ერთმანეთს დაერეოდნენ. ახლა მამამაც იცის და სრულიად საფეხბურთო მსოფლიომაც. რონალდინიო პსჟ-შია, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მსტოვრები კი მის გადასაბირებლად პარიზში დაძვრებიან.*

*მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ფეხბურთელის ძმას, რომელიც რონალდინიოს აგენტია, შეუთვალა, არ გაბრიყვდეთ და ვიღაც-ვიღაცებთან კონტრაქტი არ გააფორმოთო. ამ „ვიღაც-ვიღაცებში“ პრეზიდენტმა „მანჩესტერი“ იგულისხმა.*

*სწორედ რომ ნადირობა გამოცხადდა რონალდინიოზე. მას ცხელი ზაფხული ელის, მაგრამ პირველად იგი ფრანგულმა ჟურნალმა „ონზ მონდიალმა“ გამოიჭირა. ბრაზილიელი სიტყვაუხვი მოსაუბრე აღმოჩნდა.*

**— მსოფლიოს ჩემპიონობა ტკბილია?**

— უეჭველად. შარშანდელი ჩემპიონატის წვრილმანი დეტალებიც კი, პირველი მატჩიდან ფინალის ჩათვლით, თავში ჩამებეჭდა. მწვრთნელიდან დაწყებული მასაჟისტით დამთავრებული თასისკენ შეხმატკბილებული მივდიოდით. ამ საქმეში ჩემი წილი ოფლიც ურევია.

**— ოდესმე გიფიქრიათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონობას დააჭაშნიკებდით?**

— მიფიქრია კი არა, რასაც ვაკეთებდი და ახლაც ვაკეთებ, ყველაფერი დიდ გამარჯვებასა და წარმატებას ემსახურება. მოედანზე რონალდოსთან, რივალდოსთან და დენილსონთან ერთად ყოფნა იცით, როგორი სიამოვნებაა? თამაში ძალიან იოლდება. უფრო მეტიც, უმარტივესი ხდება. როგორც კი კარგ პოზიციაში აღმოჩნდები, ბურთი ფეხებთან თავისით მოგიგორდება. ჩემი თანაგუნდელები თამაშს უსწრაფესად „კითხულობენ“.

**— საინტერესოა, ისინი თქვენზეც იგივეს იტყვიან?**

— რა ვიცი. ჯერ ახალგაზრდა ვარ და დიდ ფეხბურთელობამდე ბევრი რამ მაკლია.

**— მაინც რა?**

— გამოცდილება და ჯილდოები. ეს ორი ფეხბურთელის განვითარებისთვის აუცილებელია, თუმცა ნებისმიერი მოთამაშე გუნდში ერთ-ერთი ჩვეულებრივი ჭანჭიკია. ყველას თავისი როლი აქვს.

**— თქვენ ნაკრებში რა გევალებათ?**

— იგივე, რაც რივალდოს და რონალდოს. მოედანზე დავეხეტები და ჩემებურად „ვხატავ“. ფორვარდების ზურგსუკან უნდა ვიტრიალო და პასებით მოვამარაგო. პასები უფრო მევალება, ვიდრე გოლები. როცა ბურთს მეტოქე წამართმევს, ჩემს ზონას გადავკეტავ.

**— ქომაგებს მიაჩნიათ, რომ რონალდინიოს ბურთით სასწაულები შეუძლია...**

— ტექნიკა ჩემი მთავარი იარაღია. საერთოდ, თითოეული ფეხბურთელი თავისებურ ყაიდაზე თამაშობს. რონალდო

— სისწრაფე და უზუსტესი დარტყმაა, რივალდოს თვალი უჭრის და შეუდარებელი ცაცია აქვს. საკუთარი თავის დახასიათება მიჭირს. მოედანზე ყველაფერი ყოველთვის არ გამომდის. ამ მხრივ ზინედინ ზიდანი განუმეორებელია.

**— რატომ?**

— შეხედავ, თითქოს განსაკუთრებულს არაფერს აკეთებს, მაგრამ რასაც აკეთებს, ის სხვას არავის ძალუძს. წამის მეათასედში ვითარებას გაარკვევს და ეფექტურ გაგრძელებას იპოვის. საკმარისია, ცალი თვალი შეავლოს მოედანს, საქმე მოთავებულია. ხანდახან მგონია, რომ ზიდანს კეფაზე ორჯერ მეტი თვალი აქვს, ვიდრე სახეზე.

**— „ზიზუ“ ბრაზილიელს გაგონებთ?**

— ის ერთდროულად ბრაზილიელი, იტალიელი, არგენტინელი, ფრანგი და ესპანელია.

**— შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ ვარჯიში და ფორმის აღდგენა ალბათ არ გეხალისებოდათ...**

— ტრიუმფის შემდეგ მუშაობა რთულია. შენგან უკვე მხოლოდ გოლებს და მოგებას ითხოვენ. რატომღაც ავიწყდებათ, რომ ფეხბურთელიც ჩვეულებრივი ადამიანია თავისი ღირსებით და ნაკლით. ფეხბურთში უმკაცრესი კანონებია. შარშანდელი შვებულების შემდეგ, ჩემპიონატის დაწყებისას, მხოლოდ 50 პროცენტით ვიყავი მზად.

**— პირველ წრეში ლუის ფერნანდესი სათადარიგოთა სკამზე გაყურყუტებდათ, გაზაფხულიდან კი პარიზელებმა ისევ ჯადოქარი რონალდინიო ნახეს...**

— საკუთარი გუნდის თამაშის გვერდიდან ყურება ნერვებს მიშლის, ვერ ვიტან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვაგებთ და ვგრძნობ — დახმარება შემიძლია. მწვრთნელი მეორე წრის დასაწყისიდან მენდო და არც შემცდარა. ყველა მატჩში თავიდან ბოლომდე თამაში მჭირდება იმისთვის, რომ ფორმა არ დავკარგო.

**— რამდენჯერმე კაპიტნის სამკლავურიც გერგოთ. რას ეუბნებოდა კაპიტანი თანაგუნდელებს?**

— ბევრი ლაილაი არ მჩვევია. მინდა, რომ გულშემატკივრებს ვასიამოვნო. თანაგუნდელებს მოედანზე ჩემი მოქმედებით ვამხნევებ.

**— განვლილმა სეზონმა გული დაგწყვიტათ?**

— რა თქმა უნდა, დასანანია. იყო მომენტები, როცა ლიდერთა მარაქში გარევა შეგვეძლო, მაგრამ სტაბილურობა გვაკლდა. მსოფლიოს ჩემპიონობით გალაღებული ყოველდღე მორიგ ჯილდოზე ვფიქრობდი, მაგრამ ხელცარიელი დავრჩი. ასე ხშირად ხდება, დიდ სიხარულს დიდი გაწბილება მოსდევს.

**— ლუის ფერნანდესი და თქვენ რას ვერ იყოფდით?**

— გასაყოფი არაფერი გვქონდა. პატივს ვცემ და ძალიან ვაფასებ. ნებისმიერი მცირე გაუგებრობის შემთხვევაშიც პირისპირ ვსაუბრობდით. მე იდეალური არ ვარ, მაგრამ მგონი, ჩვენს შორის საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

**— წარმოიდგინეთ თავი მწვრთნელის ადგილზე. ფეხბურთელ რონალდინიოს როგორ მოექცეოდით?**

— ყველაფერს ვიღონებდი, რომ მას თავის ნებაზე ევარჯიშა და ეთამაშა. მხოლოდ ამ შემთხვევაში წარმოაჩენს საუკეთესო თვისებებს.



რონალდინიოს ნიგერიაში ასე დახვდნენ

**— ფერნანდესი რამდენჯერმე დაგემდურათ, რატომ?**

— ხალხს სენსაციების გაგება უყვარს, თუნდაც ტყუილი იყოს. გაზეთები კი ათასგვარი ცინცხალი ჭორის გამო უკეთ საღდება.

**— პსჟ-სგან თავს დავალებულად ხომ არ გრძნობთ?**

— პარიზში ფრანგული ენის შესასწავლად კი არა, ჯილდოების მოსაგებად ჩამოვედი. ამ კლუბში ადრე მოთამაშე ბრაზილიელი ფეხბურთელების ტრადიციების გაგრძელება მსურს.

**— ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს გუნდის თამაშის აწყობა თქვენს გარშემო სურს. დარჩებით პსჟ-ში?**

— წინასწარ მკითხაობას არ ვაპირებ. მომავალ ექვს თვეში რა მოხდება, იმასაც ვერ ვივარაუდებ.

**— არ აპირებთ, მაგრამ ეს კითხვა პარიზის თავზე ჩამოეკიდა. ალექს ფერგიუსონი კი სანახავად არაერთხელ გეწვიათ.**

— ვაღიარებ, რომ მსიამოვნებს ჩემს გარშემო შექმნილი რია-რია, მაგრამ ჩემპიონატის დროს მხოლოდ გუნდის ინტერესებზე ვფიქრობდი და კვლავაც ამაზე ვიფიქრებ. მომავლისა კი არაფერი ვიცი.

**— ნაკრების თანაგუნდელებმა ხომ არ გირჩიეს რამე?**

— მათი აზრით, ესპანეთში და ინგლისში თამაში არ გამიჭირდება, თუმცა საფრანგეთის ჩემპიონატიც მომწონს. აქ ნებისმიერ მატჩში გადაჭრით ვერ იტყვი, ვინ მოიგებს, თუნდაც ლიდერი და წყალწაღებული ხვდებოდნენ. დონესაც არ უშავს.

**— ახლო მომავალზე არაფერს ამბობთ. მაშინ გვითხარით, მაგალითად, 2014 წელს რა მოხდება?**

— ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი გახდება ბრაზილიაში. მე 34 წლის ვიქნები და ღმერთმა თუ გამომხედა, ნაკრებშიც ვითამაშებ, ოღონდ აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში.

## სანაკრებო დებიუტი

არგენტინაში ჩემი სანაკრებო ცხოვრება სრულად მოულოდნელად დაიწყო და მალევე ასევე მოულოდნელად დასრულდა. მიწვევა გილერმო სტაბილესგან მივიღე, ის ნაკრების სელექციონერი იყო. რამდენიმე დღეში გუაკილში, ეკვადორში მივემგზავრებოდით, სადაც სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი, ჩვენებურად კოპა ამერიკა ტარდებოდა.

ღია ცისფერი მაისურა ჩავიცვი, ახლა ელექტრიკს რომ ეძახიან, ისეთი და, სარკეში ჩავიხედე. ეს მაისურა ძალიან უხდებოდა ჩემს ღია ფერის თმებს. მაშინ როგორ ვიფიქრებდი, რომ მისი ჩაცმა სულ ექვსჯერ მომიხდებოდა, რის მერეც უძირფასეს რელიქვიად შემრჩებოდა. თუმც ეს ექვსი სანაკრებო მატჩი საკმარისი აღმოჩნდა ჩემი აღიარებისთვის. ეკვადორიდან გამარჯვებულები დავბრუნდით, მაგრამ მალევე ჩემს რამდენიმე მეგობართან ერთად კოლუმბიაში ამოვყავი თავი, რისი მიზეზიც გაფიცვა სახლია. გახლდათ ქვემოთ მოგახსენებთ, ახლა კი კოპა ამერიკას მივუბრუნდები.

პირველი მატჩი პარაგვაისთან გვქონდა და ძალიან იოლად მოვიგეთ — 6:0. ცენტრფორვარდად პონტონიმ ითამაშა, მე სათადარიგო ვიყავი. მეორე მატჩი ბოლივიასთან გვქონდა და ჩემი დებიუტიც იქ შედგა. პირველი ტაიმის შუაში, როცა 2:0 ვიგებდით, პონტონი დაშავდა და მე შემიშვეს. რაკი ისედაც ვიგებდით, ბოლივიას კი საკმაოდ სუსტი გუნდი ჰყავდა, მაინცდამაინც არ მინერვიულია. საბოლოოდ, ის მატჩი 7:0 მოვიგეთ, ბოლო გოლი მე გავიტანე.

არასდროს დამავიწყდება მაშინდელი შემადგენლობა: კარში კოსი იდგა, დაცვაში კოლმანი, პალმა და იაკინო თამაშობდნენ, ცენტრში — პერუკა და პესია, წინ კი ბოიე, მენდესი, პონტონი, მორენო და ლოსტაუ. ყველანი ვარსკვლავები იყვნენ, მათ შორის კი მაინც პონტონი და მორენო გამოირჩეოდნენ. ერთი სიტყვით, პონტონის შეცვლა ჩემთვის უდიდესი პატივი იყო. მესამე ხელშეუხებელი ავტორიტეტი კი დაცვის ბურჯი, „ბოკა ხუნიორსის" კაპიტანი მორანტე გახლდათ, რომელმაც კოპა ამერიკაზე, სამწუხაროდ, ვერ ითამაშა, ცოტა ხნით ადრე ცხვირი გაუტეხეს.

სათადარიგოთა სკამზე სულ პატარა ბიჭები ვიჯექით: სერვინიო, როსი, გუტიერესი, კამპანა და მე. ნაკრებში ყველანი გილერმო სტაბილეს წყალობით მოვხვდით. მას ფეხბურთელების შერჩევის ბრწყინვალე ნიჭი ჰქონდა. ის თავის დროზე იტალიაში თამაშობდა და მასსავით ვერავინ ახერხებდა მოწინააღმდეგის დაცვის გაჭრას. ამიტომაც მეტსახელად „ყინულმჭრელი" შეარქვეს. იტალიიდან დაბრუნებულმა მწვრთნელობა დაიწყო, თავისი ნიჭი ახალგაზრდა, პერსპექტიული ბიჭების აღმოჩენისკენ წარმართა. ერთი ძალიან კარგი თვისებაც ჰქონდა: სულ ცდილობდა, ჩვენ, ახალგაზრდები მუდამ გამოცდილი ფეხბურთელების გვერდით ვყოფილიყავით, მოითხოვდა, რომ ერთად გვევარჯიშა და გვეცხოვრა. თქვენ წარმოიდგინეთ, მოცალეობის ჟამს პოკერსაც ერთად ვთამაშობდით. პოკერის თამაში ცალკე თემაა. კოპა ამერიკის მოგებისთვის უზარმაზარ პრემიებს დაგვპირდნენ და გვარიანი თანხა წინასწარვე მონაწილეობისთვის მოგვცეს. რამდენიმე დღეში ფული არავის ჰქონდა. ზოგმა პოკერში წააგო, ზოგმაც მაღაზიებში დახარჯა. მე უფრო მაღაზიებში ვხარჯავდი, რადგან ბანქოს ტრფიალი არასდროს ვყოფილვარ, ძალიან იშვიათად, სხვების ხათრით თუ ვითამაშებდი.

ნაკრების უფროსობამ ეს ყველაფერი რომ შეიტყო, ბანქოს თამაშიც და მაღაზიებში სიარულიც კატეგორიულად აგვიკრძალეს. ცხადია, ალკოჰოლიც სასტიკად აკრძალული გვქონდა. სხვა რა გზა იყო, ბრძანებას უნდა დავმორჩილებოდით და მაღაზიებსაც და ალკოჰოლსაც იოლად შეველიეთ, აი, ბანქოს თამაში კი ბევრი ჩემი თანაგუნდელისთვის დაუძლეველი ცდუნება აღმოჩნდა. ღამე თამაშობდნენ, კონსპირაციისთვის ხან ერთ ოთახში, ხან მეორეში. რამდენჯერმე მოხდა, რომ იმ ოთახში, სადაც მე, იაკინო, როსი და ლოსტაუ ვცხოვრობდით, ღამით ბიჭები შემოგვეჭრებოდნენ და თამაშობდნენ, არ გვაძინებდნენ და ძლივს ვაგდებდით.

მესამე მატჩში, პერუს წინააღმდეგ, სასტარტო შემადგენლობაში ვიყავი. მოვიგეთ, მაგრამ გაგვიჭირდა — 3:2. მე ერთი გოლი გავიტანე. მეოთხე მატჩში, ჩილესთან, ფრედ, 1:1 ვითამაშეთ და ჩვენი ერთი გოლის ავტორიც მე ვიყავი. ამის შემდეგ კოლუმბია გავანადგურეთ — 6:0. მე მეორე, მეხუთე და მეექვსე გოლები შევაგდე.

ბოლოსწინა მეტოქე მასპინძელი ეკვადორი იყო. ის თამაშიც მოვიგეთ, თუმცა გატანა ველარ მოვახერხე და ბოლო წუთებზე მომჯობინებულმა პონტონიმ შემცვალა.

და, აი, ფინალიც. მეტოქე ძალიან ძლიერი გვყავდა — ურუგვაის ნაკრები. სასტარტო შემადგენლობაში პონტონი იყო, მე ის მეორე ტაიმში შევცვალე, როცა 2:0 ვიგებდით. შევედი თუ არა, ურუგვაელებმა მაშინვე გაგვიტანეს. გავიფიქრე, ნეტავ, სულ არ მეთამაშა-მეთქი. კიდევ კარგი, ლოსტაუმ მესამე გოლი გაიტანა და დავმშვიდდი. საბოლოოდ, 3:1 მოვიგეთ და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონები გავხდით.

სხვათა შორის, არგენტინისა და ურუგვაის მატჩები ჩხუბისა და გინების გარეშე არასდროს მთავრდებოდა. მოედანზე გაუთავებელი ხელის კვრა და მუქარა: თამაშის მერე სასტუმროში გაგისწორდებით, ისმოდა მაგრამ გარწმუნებთ, უკეთესი მეგობრები ჩვენ არ გვყავდა. ყველაფერი სამხრეთული ტემპერამენტის ბრალი იყო, თორემ თამაში რომ დამთავრდებოდა, ერთად ვქეიფობდით-ხოლმე.

პირადად მე მოედანზეც არასდროს გავქაჩულვარ ვინმეზე. გაწევ-გამოწევაში ხომ მოგებული არავინ რჩება. საერთოდ, ემოციების გაკონტროლების მომხრე ვარ. არც ის მომწონს, ახლანდელი ფეხბურთელები გოლის გატანის მერე გიჟებივით რომ დარბიან, ცეკვავენ და დამცავ მესერზე აბობღდებიან ხოლმე?

ჩემს დროს, ამ მხრივ უფრო კორექტიულები ვიყავით. თავის გაგიჟება ხომ მეტოქის შეურაცხყოფს. წესად გვქონდა, ფეხბურთელი პენალტს რომ გაიტანდა, მეკარესთან უნდა მისულიყო და ბოდიში მოეხადა. აი, ასე იყო.

# დი სტეფანო პერონის წინააღმდეგ...

*იტალიამოვლილმა გილერმო სტაბილემ ალფრედო დი სტეფანოს ნაკრების კარი გაუღო. მისი რჩევით „რივერის" ფორვარდი კოპა ამერიკაზე, ეკვადორში წაიყვანეს. გუაკილიდან დი სტეფანო და არგენტინის ნაკრები თასით დაბრუნდნენ. ამ დროს კი ქვეყნის ჩემპიონატში დიდი რია-რიაა. უხელფასოდ დარჩენილი ფეხბურთელები გაიფიცნენ და დი სტეფანოც მათ შორისაა, არგენტინა ბობოქრობს, ალფრედო კი უკვე ქვეყნიდან წასვლას ფიქრობს.*

*ეს ყველაფერი ქვემოთ, ალფრედო დი სტეფანოს ავტობიოგრაფიული წიგნიდან, „გმადლობთ, ძმაო"*



სხვათა შორის, ერთხელ მეც მომიწია მეკარეობამ. კლასიკო იყო, „რივერი" — „ბოკა", 1949 წლის 30 ივლისს. 84-ე წუთზე ჩვენი მეკარე ამადეო კარისო დაიმტვრა და კარში მე ჩამაყენეს. ექვს წუთს გავუძელი, გოლი არ გავუშვი და 1:0 მოვიგეთ. ამის მერე გაზეთებში წერდნენ, ახლა კი ადგილი არ დარჩა, სადაც დი სტეფანოს არ უთამაშიაო.

ამ ამბიდან ორი თვის მერე კოლუმბიისკენ გავწიე.

### გაფიცვა

არგენტინულ კლუბებს გაფიცვების ტალღამ გადაუარა. მიზეზი ხელფასის გაზრდის მოთხოვნა კი არა, მისი გაუცემლობა იყო. პრობლემა ძირითადად დაბალ დივიზიონებში მოთამაშე ფეხბურთელებს ჰქონდათ, მესამე დივიზიონიდან და ქვევით. შუა ჩემპიონატში კლუბების ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს, რომ ხელფასებს ვერ გადაიხდიდნენ. იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ამ გადაწყვეტილებას ყველაზე მეტად აპროტესტებდნენ, კლუბებიდან საერთოდ წასვლას სთავაზობდნენ. მაგრამ სად უნდა წასულიყვნენ? ასე ხომ ველარალურად მიიღებდნენ კუთვნილ ფულს, ან სხვა კლუბებში იგივე ამბავი ელოდათ.

მთავარი პრობლემა ის იყო, რომ კლუბების მეპატრონეებიც ერთმანეთს შეეკრნენ და ერთიანი ფრონტით უტევდნენ ფეხბურთელებს. მფლობელები და ძლიერები კი, მოგეხსენებათ, ყოველთვის მართლები არიან. მთავრობაც მათ მხარეს იყო, პერონმა, ვინც, იმ დროს უკვე პრეზიდენტი გახლდათ, გაფიცვები აკრძალა. ფინანსთა მინისტრი კი იმავდროულად „რასინგის" მეპატრონე იყო. ერთი სიტყვით, საშველი არსაიდან ჩანდა.

მაგრამ გაფიცვები მაინც ვერ დააჩოქეს. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ამის მიზეზი პირველი დივიზიონის ფეხბურთელთა პოზიცია გახდა. პირველ დივიზიონში გაცილებით მაღალი ხელფასები იყო და დროულადაც იხდიდნენ, მაგრამ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელებმა თავიანთი კოლეგების მხარე დაიჭირეს. ცხადია, შეიძლებოდა, კლუბების ხელმძღვანელები მათაც შემოსწყრომოდნენ, მაგრამ დაჩაგრულთა სოლიდარობა მჩაგვრელთა სოლიდარობაზე ძლიერი გამოდგა.

პირადად მე, რაკი ნაკრების ფეხბურთელიც ვიყავი, ძალიან კარგი ხელფასი მქონდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ მიყოყმანია, გაფიცულთა მხარეს დავდექი. სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ მორალური მხარდაჭერის გარდა არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო. თუმცა ესეც ბევრს ნიშნავდა. დაჩაგრულ ფეხბურთელებს რომ დავხმარებოდით, ბლომად საქველმოქმედო მატჩებს ვატარებდით. ამ მატჩებს უამრავი ხალხი ესწრებოდა და პრესაც სისტემატურად აშუქებდა. ჩვენ კი მატჩის წინ პლაკატები გამოგვქონდა, რომლებშიც ჩვენი მოთხოვნები ეწერა. ფული ბლომად გროვდებოდა და ფეხბურთელების გარდა ინვალიდებს, საავადმყოფოებს და სკოლებსაც ვეხმარებოდით. მაგრამ ეგაა, რომ პრობლემას ეს ვერ აგვარებდა. კლუბების და მთავრობის პოლიტიკა ხალხის ჩაგვრაზე იყო აგებული.

არგენტინაში ფეხბურთელთა პროფკავშირი ჯერ კიდევ 1944 წელს შეიქმნა. მისი ხელმძღვანელი „რივერის" პერუელი სორიანო იყო. მას იურიდიული განათლება ჰქონდა და პროფკავშირის საქმეებს კარგად უძღვებოდა.

გაფიცვამ ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ ჩემპიონატი ჩაიშალა, თუმცა საქმის ბოლომდე მიყვანა მაინც არ მოხერხდა.

ფეხბურთის ფედერაციამ, სირაქლემასავით თავი ქვიშაში ჩარგო, ვითომც არაფერი ხდებაო, გამოაცხადა, მესამე დივიზიონის გამარჯვებული იქნება არგენტინის ჩემპიონი. ამ გადაწყვეტილებით ფედერაციამ გაფიცულთა შორის განხეთქილება მოახდინა, მესამე დივიზიონის მოთამაშეები თავისკენ გადაიბირა.

მერე პრესაც ჩვენს წინააღმდეგ დაირაზმა. პრინციპში, მათ შეიძლება გავუგოთ: ჩემპიონატის ჩაშლამ მათ სამუშაო დაუკარგათ.

საბოლოოდ კი მთელი ამ აურზაურიდან გამარჯვებული არავინ დარჩა: ფედერაციას მცირე დაიმიტაზე მოუხდა წასვლა. „რივერის" ამბოხებულებს კი — მე, როსის, ფერარის და კოლას — ხელფასი გაგვინახევრეს და კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაც გვაიძულეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხანგრძლივი დისკვალიფიკაციაც გველოდა. დაბალი დივიზიონის ფეხბურთელები იძულებული გახდნენ, გაჩუმებულიყვნენ. სწორედ მაშინ, მე და როსიმ მტკიცედ გადავწყვიტეთ, პირველი შესაძლებლობისთანავე არგენტინიდან წავსულიყავით.



ასე არ შეიძლება!



გილერმო სტაბილე



ხუან პერონი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

**იტალია. სერია C1/B. პლეი ოფი**

**15 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 001 | პესკარა-მარტინა | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,07 | 1,28 | 1,87 |

**იტალია. სერია C1/A. პლეი ოფი**

**15 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 002 | ალბინოლეფე-პიზა | 2,0 | 2,7 | 4,4 | 1,14 | 1,37 | 1,67 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 006 | ვალიადოლიდი-რაიო | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 003 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 22.00 | 004 | ოსასუნა-ალავესი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 24.00 | 005 | უელვა-მალიორკა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 24.00 | 007 | ბილბაო-დეპორტივო | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 24.00 | 008 | ატლეტიკო-რეალი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 24.00 | 009 | სელტა-სოსიედადი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 24.00 | 010 | მალაგა-სევილია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 24.00 | 011 | ბეტისი-რასინგი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 24.00 | 012 | ვალენსია-ბარსელონა | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. XXXX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 22.30 | 013 | ეიბარი-სპორტინგი | 1,95 | 2,8 | 3,6 | 1,14 | 1,26 | 1,57 |
| 21.30 | 014 | ხეტაფე-ეხიდო | 2,1 | 2,5 | 3,8 | 1,14 | 1,35 | 1,5 |
| 21.30 | 015 | ტენერიფე-მურსია | 2,6 | 2,6 | 3,0 | 1,3 | 1,39 | 1,39 |
| 21.30 | 016 | ფეროლი-ლევანტე | 1,6 | 3,0 | 3,4 | 1,04 | 1,08 | 1,59 |
| 23.00 | 022 | ალმერია-ლეგანესი | 2,1 | 2,4 | 4,2 | 1,12 | 1,4 | 1,52 |
| 21.30 | 023 | ნუმანსია-ლას პალმასი | 2,2 | 2,8 | 3,5 | 1,23 | 1,35 | 1,55 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 017 | სარაგოსა-ალბასეტე | 2,0 | 2,5 | 4,2 | 1,11 | 1,35 | 1,56 |
| 21.30 | 018 | ბადახოსი-ელჩე | 2,45 | 2,7 | 3,1 | 1,28 | 1,36 | 1,44 |
| 21.00 | 019 | კომპოსტელა-კორდობა | 2,0 | 3,0 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,59 |
| 21.00 | 020 | ოვიედო-სალამანკა | 1,6 | 3,0 | 3,4 | 1,04 | 1,08 | 1,59 |
| 22.00 | 021 | ტერასა-სერესი | 1,5 | 3,0 | 4,0 | 1 | 1,09 | 1,71 |

**დანია. XXXI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 032 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 033 | ფარუმი-ოლბორგი | 2,1 | 3,4 | 3,1 | 1,29 | 1,25 | 1,62 |
| 18.00 | 034 | მიდტიულანდი-ორჰუსი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.00 | 035 | კიოგე-აკადემისკი | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| 18.00 | 036 | სილკებორგი-ვიბორგი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 20.35 | 037 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

**შვედეთი. X ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 049 | სუნდსვალი-იორგრიტე | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,65 |
| 20.00 | 050 | ჰამარბი-იოსტერი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 20.00 | 051 | ლანდსკრონა-იურგორდენი | 3,3 | 3,3 | 2,05 | 1,65 | 1,26 | 1,26 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 052 | აიკ-ჰელსინგბორგი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 22.00 | 053 | ენკიოპინგი-ელფსბორგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.00 | 054 | გიოტებორგი-იორებრო | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |

**ნორვეგია. X ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 055 | რუსენბორგი-მოლდე | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 056 | რუსენბორგი-მოლდე 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 057 | ალესუნდი-ბოდიო გლიმტი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| 21.00 | 058 | ვიკინგი-ლილესტრიომი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 21.00 | 059 | სოგნდალი-ოდ გრენლანდი | 1,95 | 3,5 | 3,3 | 1,25 | 1,22 | 1,69 |
| 21.00 | 060 | ტრომსიო-ლინი | 2,45 | 3,4 | 2,45 | 1,42 | 1,22 | 1,42 |
| 21.00 | 061 | ბრანი-სტაბეკი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 062 | ვოლერენგა-ბრინი | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |

**ფინეთი. VII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 063 | ჰაამეენლინა-იოკერიტი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 20.30 | 064 | ალიანსი-მიუპა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.30 | 065 | ჰაკა-ტურკუ | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 20.30 | 066 | ინტერი-ჰიკ | 3,8 | 3,4 | 1,8 | 1,79 | 1,22 | 1,17 |
| 20.30 | 067 | კტპ-ტამპერე | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 20.30 | 068 | კუოპიო-იარო | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1,59 |
| 20.30 | 069 | ლაჰტი-ჯაზი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |

**პორტუგალია. თასი. ფინალი (ლისაბონში)**

**15 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.15 | 070 | პორტუ-ლეირია | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

**რუსეთი. თასი. ფინალი (მოსკოვში)**

**15 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 071 | სპარტაკი-როსტსელმაში | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |

**კალათბურთი. იტალია**

**14 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.45 | 605 | ბენეტონი-სკიპერი | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |

**კალათბურთი. საბერძნეთი**

**15 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 614 | პანათინაიკოსი-აეკ | 1,4 | 12,0 | 2,4 | 1,25 | 1 | 2 |

## ფორმულა 1. კანადა. 14 ივნისი (13.00)

| 4001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 4002 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|
| მ.შუმახერი ---------- 1,6 | 4101 --------- 1,15 | 4201 --------- 1,1 | 1,6 |
| ბარიკელო ---------- 5,0 | 4102 --------- 1,55 | 4202 --------- 1,2 | 4,0 |
| რაიკონენი ---------- 6,0 | 4103 --------- 1,7 | 4203 --------- 1,25 | 4,6 |
| კულტჰარდი ---------- 8,0 | 4104 --------- 1,9 | 4204 --------- 1,25 | 7,0 |
| მონტოია ---------- 8,0 | 4105 --------- 2,0 | 4205 --------- 1,25 | 4,6 |
| რ.შუმახერი ---------- 15,0 | 4106 --------- 3,3 | 4206 --------- 1,3 | 12,0 |
| ალონსო ---------- 25,0 | 4107 --------- 3,6 | 4207 --------- 1,3 | 25,0 |
| ტრული ---------- 35,0 | 4108 --------- 6,0 | 4208 --------- 1,8 | 35,0 |
| ბატონი ---------- 75,0 | 4109 --------- 15,0 | 4209 --------- 2,3 | 100,0 |
| ფრენცენი ---------- 75,0 | 4110 --------- 15,0 | 4210 --------- 3,0 | 100,0 |
| ჰაიდფელდი ---------- 75,0 | 4111 --------- 15,0 | 4211 --------- 3,0 | 100,0 |
| ვილნევი ---------- 75,0 | 4112 --------- 15,0 | 4212 --------- 3,0 | 100,0 |
| ფიზიკელა ---------- 75,0 | 4113 --------- 15,0 | 4213 --------- 3,0 | 100,0 |
| პანისი ---------- 75,0 | 4114 --------- 15,0 | 4214 --------- 3,0 | 100,0 |
| ვებერი ---------- 75,0 | 4115 --------- 15,0 | 4215 --------- 3,0 | 100,0 |
| და მატა ---------- 75,0 | 4116 --------- 15,0 | 4216 --------- 3,0 | 100,0 |

| 4301 გამარჯვებული გუნდი |
|---|
| ფერარი ---------- 1,4 |
| მაკლარენი ---------- 3,3 |
| უილიამსი ---------- 5,0 |
| რენო ---------- 15,0 |
| საუბერი ---------- 40,0 |
| ბარ ---------- 40,0 |
| ჯორდანი ---------- 50,0 |
| ტოიოტა ---------- 50,0 |
| იაგუარი ---------- 50,0 |
| მინარდი ---------- 200,0 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I° კორპუსი

**ბიუროს შემდეგზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00–21.30**

**კვირა 12.00–20.30**

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 2004 | ბილბაო-დეპორტივო | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 24.00 | 2005 | ატლეტიკო-რეალი | 4,6 | 2,2 | 2,2 | 1,48 | 1,48 | 1,1 |
| 24.00 | 2006 | სელტა-სოსიედადი | 3,1 | 2,05 | 3,2 | 1,23 | 1,57 | 1,24 |
| 24.00 | 2007 | ვალენსია-ბარსელონა | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **15 ივნისი** | | |
| 24.00 | 2304 | ბილბაო-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 24.00 | 2305 | ატლეტიკო-რეალი | 1,65 | 1,95 |
| 24.00 | 2306 | სელტა-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 24.00 | 2307 | ვალენსია-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **15 ივნისი** | | |
| 24.00 | 2404 | ბილბაო-დეპორტივო | 1,8 | 2,0 |
| 24.00 | 2405 | ატლეტიკო-რეალი | 2,6 | 1,5 |
| 24.00 | 2406 | სელტა-სოსიედადი | 1,9 | 1,9 |
| 24.00 | 2407 | ვალენსია-ბარსელონა | 1,7 | 2,2 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ივნისი** | | | |
| 24.00 | 2504 | ბილბაო-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2505 | ატლეტიკო-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2506 | სელტა-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2507 | ვალენსია-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 ივნისი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 2104 | ბილბაო-დეპორტივო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 24.00 | 2105 | ატლეტიკო-რეალი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 24.00 | 2106 | სელტა-სოსიედადი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 24.00 | 2107 | ვალენსია-ბარსელონა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში, (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **15 ივნისი** | | |
| 24.00 | 2204 | ბილბაო-დეპორტივო | 1,95 | 1,65 |
| 24.00 | 2205 | ატლეტიკო-რეალი | 1,95 | 1,65 |
| 24.00 | 2206 | სელტა-სოსიედადი | 1,9 | 1,7 |
| 24.00 | 2207 | ვალენსია-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

**ჭადრაკი**

# შამათი ევროპას
## ზურაბ აზმაიფარაშვილი კონტინენტის ჩემპიონია!

*გუშინ სტამბოლში ევროპის ჩემპიონატი ქართული ენდშპილით დასრულდა. დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი კონტინენტის მეოთხე ჩემპიონი გახდა! აზმაიფარაშვილი ბოლო მეტოქეს, გერმანელ დიდოსტატ ალექსანდრ გრაფს ყაიმზე შეუთანხმდა და...*



— წარმატება იოლად არ მოსულა. ყოველი ტური ერთობ დაძაბული და ნერვიული იყო — გვითხრა გუშინ ზურაბ აზმაიფარაშვილმა, სტამბოლში რომ დავუკავშირდით — ყველაზე ძნელი, მოლოდინისა, ლუკ ვან ველთან პარტიაზე ვიტყოდი. თუ გახსოვთ, ორი წლის წინანდელ ევროპის ჩემპიონატზეც მესამე ადგილისთვის ლუკ ვან ველს ვეთამაშე, მოვუგე და ბრინჯაო მოვიპოვე. წლეულს მე ყაიმიც მაძლევდა ხელს, ვან ველს კი, თუ მოიგებდა, კვლავ რჩებოდა ჩემპიონობის შანსი. ამიტომაც მან მთელი ძალები შეალია პარტიას, რომელიც 85 სვლის შემდეგ ჩემი გამარჯვებით დასრულდა.

რაც შეეხება ბოლო პარტიას ალექსანდრ გრაფთან, ის არ იყო დიდად გადამწყვეტი, თუმცა წინა დღეს დაღლილსა და უძილოს ისიც ფსიქოლოგიურ სირთულედ მექცა. გრაფთან თამაში საინტერესოდ წარიმართა და მე-18 სვლაზე მან თვითონ შემომთავაზა ყაიმი.

ჩემს კარიერაში ასეთი შედეგი ჯერ არ მქონია და საერთოდაც ქართველ ვაჟებში პირველია ასეთი დიდი წარმატება. ხუმრობით ვიტყვი, რომ ახლა ყველაფერი მოგებული მაქვს და მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონობა დამრჩა, მაგრამ სანამ გარი კასპაროვი არსებობს, ამის გაკეთება ძნელი იქნება. თუმცა წლევანდელ ევროპის პირველობაზე იმდენი ძლიერი მოჭადრაკე შეიკრიბა, რომ ჩემთვის ასეთი წარმატება ძალიან ბევრს ნიშნავს.

გრაფთან პარტია ქართველმა დიდოსტატმა დედოფლის გამბიტით დაიწყო და ცენტრში ფიგურების განლაგებას შეუდგა. გერმანელმა კი საკუთარი პაიკების წინა ხაზი გაამაგრა და მეტოქეს შეუტია.

როცა დაფაზე მეცხრე სვლა იყო გასაკეთებელი, ცნობილი გახდა, რომ აზმაიფარაშვილის მთავარმა კონკურენტებმა, რუსებმა — კონსტანტინ საკაევმა და ვლადიმირ მალახოვმა ერთმანეთთან სწრაფი ყაიმი ითამაშეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩვენებური ყაიმის შემთხვევაშიც ყველასთვის მიუწვდომელი ხდებოდა.

არადა, გრაფიც არ იყო უშანსო, რადგან თუ მოიგებდა, ევროპის ჩემპიონობას ვეღარავინ შეეცილებოდა. ამიტომაც სცადა შეტევა, თუმცა მალევე შეატყო, რომ ვერას გახდებოდა და მე-18 სვლაზე ყაიმით დაასრულა პარტია.

ზურაბ აზმაიფარაშვილს ევროპული ოქროსთან ერთად საპრიზო 32 ათასი დოლარიც გადაეცა.

### სკანდალიც

ორშაბათს, 9 ივნისს, როდესაც ვაჟებსა და ქალებს უქმე დღე ჰქონდათ, ოროცდაათამდე მოჭადრაკე სასტუმროს დარბაზში შეიკრიბა და ბჭობა გამართა. დიდი დისკუსიის შემდეგ გადაწყვიტეს, შეექმნათ პროფესიონალ მოჭადრაკეთა კავშირი, რომელსაც თავისი ვებ-გვერდი ექნება ინტერნეტში და მსოფლიოს ნებისმიერ დიდოსტატს შეეძლება, წამოაყენოს თავისი წინადადება და ღიად დაუჭიროს მხარი მის სასურველ კანდიდატს კავშირის ხელმძღვანელობის არჩევნებში.

ამ კავშირის შექმნის მთავარი ინიციატორი კი სამი ადამიანია: ჩემპიონატის უმშვენიერესი მონაწილე, ერთ დროს მოლდოვის მოქალაქე, ახლა კი საფრანგეთის სახელით მოთამაშე ალმირა სკრიპჩენკო, გერმანელი იგორ გლეკი და რუსი პაველ ტრეგუბოვი.

პირველ თავყრილობაზე დაიწერა „ღია წერილი ევროპის ჭადრაკის კავშირის პრეზიდენტ ბორის კუტინს,“ რომელსაც ორივე ჩემპიონატის მონაწილე 187-მა მოჭადრაკემ მოაწერა ხელი.

წერილში მოჭადრაკეები ჩემპიონატის ორგანიზატორებს უჩივიან. მონაწილეთა აზრით, ქალთა პირველობის საპრიზო ფონდი ძალიან მცირეა (44 ათასი დოლარი), ხოლო ორგანიზატორთა მიერ შერჩეულ სასტუმროებში და სხვა მომსახურებებზე ფასები ისეთი ძვირია, ზოგიერთ მოჭადრაკეს ერთობ უჭირს მისი გადახდა.

„ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ევროპის პირველობა რომელიმე რიგითი ტურნირი არ არის და ორგანიზატორებს არა აქვთ უფლება, მოჭადრაკეებთან ურთიერთობისას აკეთონ ის, რაც სურთ“ — ვკითხულობთ წერილში.

მოჭადრაკეები დაიმუქრნენ, რომ თუ მათი მოთხოვნები არ შესრულდება, წერილზე ხელის მომწერი თითოეული მოჭადრაკე მომავალ ევროპირველობას ბოიკოტს გამოუცხადებს.

ამ სიტუაციაში უკეთ გასარკვევად კვლავ ფიდეს ვიცე-პრეზიდენტ ზურაბ აზმაიფარაშვილს დავუკავშირდით.

— ჩემპიონატის დასრულებისთანავე ევროპის კავშირის პრეზიდენტი აპირებს ღია პრესკონფერენციის მოწყობას, სადაც ყველა კითხვას გასცემს პასუხს. ამ მოჭადრაკეთა ქცევა კი, ასე ვთქვათ, კომუნისტური სტილია და ისინი, რომლებიც ეს განცხადება გააკეთეს, იმ ქვეყნების წარმომადგენლები არიან, სადაც სისხლში აქვთ გამჯდარი ასეთი წერილების წერა. ამხელა საპრიზო ფონდი და ასეთი პირობები, წლეულს რომ იყო ევროპირველობაზე, ჯერ არ ყოფილა და მათი ასეთი საქციელი გასაკვირია. ამ განცხადებების ავტორებმა ჩემპიონატზე დიდს ვერაფერს მიაღწიეს და ალბათ ამ გზით თუ ეძებენ პოპულარობას.

**ლუკა გეგეჭკორი**

**კალათბურთი**

*სადრაფტოდ გამზადებულ ზაზა ფაჩულიას თურქული ოქრო კისრიდან ჩამოხსნეს. „ეფესთან“ ფინალური სერიის ბოლო მატჩის წინ „ულქერის“ ზიზილ-პიპილოებით მორთულ დარბაზ „აბდი იპეკჩიში“ საჩემპიონო ატმოსფერო სუფევდა, მაგრამ თამაშის შემდეგ ნაღვლის ბუშტი გასკდა — სტუმრებმა შანსი არ დაუტოვეს ულქერელებს... დღეს კი ფაჩულიას ფიქრები დრაფტსა და სტამბოლში ამერიკის საელჩოს უტრიალებს. ზაზას ბარგი შეუკრავს და ამერიკული ვიზის მოლოდინშია, რომელსაც ალბათ მომავალი კვირის დასაწყისში მიიღებს. ფაჩულიასთან ჩვენი გუშინდელი საუბარიც სწორედ ამ თემებს შეეხო...*

# ფაჩულიას ევროპის გაგონება არ უნდა
## კაცი დრაფტზე მიდის

— ყველას ეგონა, რომ „ულქერი“ გახდებოდა ჩემპიონი. სერიის ბოლო ორი მატჩი ისე კარგად ვითამაშეთ, ვერავინ იფიქრებდა, შინ გადამწყვეტ შეხვედრას თუ წავაგებდით.

**— ალბათ ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო წააგეთ...**

— არც ასეა საქმე, საკმარისად მობილიზებულნი ვიყავით, მოგებაში კი მხოლოდ გულშემატკივრები იყვნენ დარწმუნებულნი. სანამ მატჩი დაიწყებოდა, „ულქერის“ ქომაგობა ისე იქცეოდა, თითქოს, ეგაა და ჩემპიონები გავხდითო.

**— წარმოსადგენია, წაგებული მატჩის შემდეგ, რა ცუდ დღეში აღმოჩნდებოდნენ შენი გუნდის ქომაგები...**

— ნუ მკითხავ, საცოდაობა იყო მათი სახეების ცქერა. მგონი, ჩვენზე, მოთამაშეებზე მეტად განიცადეს მარცხი.

**— მაინც რა მოხდა, რატომ დამარცხდით ასე უიმედოდ?**

— ცუდად ვითამაშეთ, ყოველთვის ხომ არ გაგვიმართლებდა, მანამდე „ეფესისთვის“ სერიაში ზედიზედ ორი მატჩი გვქონდა მოგებული და ბოლოს და ბოლოს მათაც იღონეს რაღაც. შეტევაში არაფერი გამოგვივიდა, განსაკუთრებით სროლებში ვცოდავდით.

**— არადა, ცუდად არ დაგიწყიათ თამაში...**

— პირველ მეოთხედს მართლაც არა უშავდა, საკმაოდ დამაჯერებლად გავუსწარით ეფესელებს, მაგრამ მერე ყველაფერი აირია, შეტევების ორგანიზებას ვერ ვახერხებდით.

**— შენს თამაშზე რას იტყვი?**

— მე, ფაქტობრივად, არ მითამაშია, მცირე ხნით გამიყვანეს მოედანზე. გადამწყვეტი მატჩისთვის მაინც ჯობდა ბლერი მამჯობინეს, მაგრამ ამერიკელმა ცენტრმა ვერ გაამართლა. ისე, არც ბლერის მეურვეს, „ეფესის“ ლატვიელ ცენტრს კასპარას კამბალას გამოუდვია თავი, მაგრამ აგვიკლო ამერიკელმა ანტონიო გრანგერმა.

**— ეტყობა, შენ იმიტომ არ გათამაშეს საკმარისი დროით, რომ სროლები არ წაგივიდა. სამივე ორქულიანი გააცუდე და საჯარიმო ხაზიდანაც გლალატობდა მიზანი...**

— თავიდან რამდენჯერმე შევცდი, თუმცა არც ბლერი ბრწყინავდა. არ ვიცი, მოედანზე რომ დავეტოვებინეთ, რას ვიზამდი, თუმცა არა მგონია, რამე შეცვლილიყო, ეფესელები ძალიან ძლიერად თამაშობდნენ.

**— გუნდის ხელმძღვანელობამ რა გითხრათ წაგების შემდეგ?**

— რა უნდა ეთქვათ, გული დასწყდათ, მაგრამ წაგებას ჩვენ ხომ ვერ დაგვაბრალებდნენ. თამაშია, დღეს მოიგებ, ხვალ წააგებ. გუშინ მთელმა გუნდმა ერთად ვისადილეთ, რის შემდეგაც ზოგი შვებულებაში წავიდა, ზოგიც დარჩა და თავისთვის, ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

**— შენ რას აპირებ, ამერიკაში როდის მიდიხარ, 12 დღეში დრაფტია...**

— ახლა სწორედ ამერიკის ვიზის ამბებზე დავრბივარ — უქმეები დაემთხვა და იქით კვირაში მომცემენ. ჯერ არ ვიცი, ვიზა კონკრეტულად რომელ დღეს იქნება მზად, მაგრამ ავიღებ თუ არა, დაუყოვნებლივ გავფრინდები ამერიკაში.

**— რაიმე ხომ არ შემოუთავაზებიათ ამერიკელებს, ვისთან ერთად და რომელ კლუბებში ივარჯიშებ წინასადრაფტოდ?**

— ჯერ მხოლოდ ის ვიცი, რომ ნიუ იორკში ჩავფრინდები, სადაც ჩემი მენეჯერი მარკ ფლეიშერი დამხვდება. მერე კი საითაც ფლეიშერი გამიშვებს, იმ კლუბში წავალ სავარჯიშოდ.

**— ამერიკული ვიზის აღების გაჭიანურებაში ულქერელების ხელი ხომ არ ურევია? ადრე თქვი, შესაძლოა, პრობლემები შემიქმნან საკონსულო ამბებშიო...**

— არა, აქ კარგა ხანია, იციან, რომ დრაფტზე მივდივარ და შეგუებულნი არიან ამ ამბავს. ეგაა, სულ იმას ცდილობენ, როგორმე ჩემი მომავალი გეგმების შესახებ შეიტყონ რამე. თუ რომელიმე კლუბმა დრაფტზე ამიყვანა და ისევ ევროპაში დამიპირა განათხოვრება, ულქერელებს იმის ეშინიათ, მათ რომ არ დავუბრუნდე.

**— ისე, მართლაც ასე რომ მოხდეს, სად გიჯობს თამაში?**

— ნეტავ, ასე არ მოხდეს და თუ სხვა გამოსავალი არ იქნა, ისევ „ულქერში“ თამაშზე უარს არ ვიტყოდი. მაგრამ შესაძლოა, ჩემი ამრჩევი კლუბი თავად გაურიგდეს რომელიმე ევროპულ გუნდს, ასეთ შემთხვევაში მე არაფერს დამეკითხებიან.

**ირაკლი პერტაია**



ტონი ბლერმა და ზაზა ფაჩულიამ თურქული ოქრო ბოლოსკენ დაკარგეს

**რაგბი**

*ამ უქმეებზე ეკვატორს დაბლა ოთხი ტესტ-მატჩი გაიმართება. საფრანგეთის ნაკრები არგენტინულ ტურნეს იწყებს, სამხრეთ აფრიკა შოტლანდიას სტუმრობს მეორედ, ავსტრალია უელსს უმასპინძლებს, ხოლო ახალ ზელანდიაში ინგლისი ჩადის. ამ ჯახებში ყველაზე დიდ ინტერესს სწორედ ახალი ზელანდიისა და ინგლისის რკენა იწვევს. ეს იქნება ნახევარსფეროთა ჩემპიონების დიდი მატჩი: სამი ერის გამარჯვებული „ოლ ბლექსი“ ექვსი ერის ტრიუმფატორ „ვარდებს“ დაუხვდება.*

# ვარდი, როკოკო, სისხლი

**ახალი ზელანდია — ინგლისი**
**14 ივნისი. ველინგტონი.**

„ჩვენ ვიცით, რომ მაგრები ვართ, მაგრამ ინგლისის მოსაგებად ეს საკმარისი არ არის. საჭიროა მეტი ფანტაზია და სრული კონცენტრაცია“ — ეს სიტყვები ახალზელანდიელ მა ა ნუნუს ეკუთვნის, რომელიც 21 წლისაა და ინგლისის წინააღმდეგ პირველად მოირგებს შავ მაისურას.



ჯონი უილკინსონი

ნუნუს გარდა „ოლ ბლექსის“ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს კიდევ ერთი ახალბედა — ჯო როკოკოკო, ვინც ტრავმირებულ მელელოვე კრისტიან ქალენს შეცვლის.

მასპინძლებს არ ეყოლებათ უკანახაზის ლიდერი ენდრიუ მერთენსი და თირკმლის ავადობის გამო ლოგინად ჩავარდნილი ჯონა ლომუ.

ინგლისელთა ლიდერები კი ჯანზე არიან და ომისთვის ემზადებიან. „ეს იქნება განსაკუთრებული ჯახი. მსოფლიოს თასამდე გამართულ ჩრდილოეთ-სამხრეთის შეხლას ძალიან დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. დარწმუნებული ვარ, მოედნის ყოველი გოჯისთვის ერთმანეთს დავასისხლიანებთ“ — განაცხადა ინგლისის ნაკრებისა და მსოფლიო რაგბის ოქროს ბიჭუნამ ჯონი უილკინსონმა.

**ბაჩო სვანიძე**

**ახალი ზელანდია:** 15 დაგ ჰოულეტი, 14 ჯო როკოკოკო, 13 მა ა ნუნუ, 12 ტანა უმაგა, 11 ქალებ რალფი, 10 კარლოს სპენსერი, 9 ჯასტინ მარშალი, 8 როდნი სო ოიალო, 7 რიჩარდ მაკოუ, 6 რუბენ თორნი (კაპ), 5 ალი უილიამსი, 4 კრის ჯეკი, 3 გრეგ სომერვილი, 2 ენტონ ოლივერი, 1 დეივ ჰიუეტი
*სათადარიგონი:* 16 კევინ მილამუ, 17 კარლ ჰოფტი, 18 ბრედ ტორნი, 19 ჯერი კოლინზი, 20 სტივ დივაინი, 21 დენიელ კარტერი, 22 მაილზ მულიაინა
**ინგლისი:** 15 ჯოშ ლუისი, 14 ჯეისონ რობინსონი, 13 უილ გრინვუდი, 12 მაიკ ტინდალი, 11 ბენ კოენი, 10 ჯონი უილკინსონი, 9 კირან ბრაკენი, 8 ლოურენს დალალიო, 7 ნილ ბეკი, 6 რიჩარდ ჰილი, 5 ბენ კეი, 4 მარტინ ჯონსონი (კაპ), 3 ჯეისონ ლეონარდი, 2 სტივ ტომსონი, 1 გრეჰემ როუნტრი
*სათადარიგონი:* 16 დორიან ვესტი, 17 ფილ ვიკერი, 18 სტივ ბორსვიკი, 19 ჯო უორსლი, 20 ენდი გომარშალი, 21 პოლ გრეისონი, 22 დენ ლუგერი

# NBA PLAY OFF ფინალი

## სან ანტონიო 2:2 ნიუ ჯერსი

# ნიუჯერსელები ბაირონს კითხულობენ

## პარკერი ყურანწითლებული ითამაშებს

*2003 წლის ფინალი მოულოდნელად საინტერესო გამოვიდა და აქ სადავოც არაფერია. საყოველთაო პროგნოზით, სერია ცალფარა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ორფარა და მერე როგორი დაძაბულია. აღმოსავლელმა და წინასწარი გათვლებით სუსტმა „ნიუ ჯერსიმ" მეოთხე თამაში 77:76 მოიგო და საჩემპიონო იერიშისთვის საფუძველი შეიქმნა. რა მოხდება შემდეგ თამაშებში, ამის პროგნოზირება ძნელი გასაბედია. მანამდე კი მხარეები ეძებენ მოგება-წაგების მიზეზებს და მათ ხმამაღლაც განსჯიან*

### ტონი პარკერი ქაჯია?

11 ივნისს ისტ რეზერფორდში მეოთხე ფინალური თამაშის წაგებამ „სან ანტონიოს" ბანაკში პანიკა თუ არა, არეულობა მაინც დათესა. დამარცხებული ფავორიტები ცდილობენ, არ დაიბნენ და საფუძვლიანად ჩხრეკენ მათთვის უარყოფითი თამაშის მიზეზებს.

„სან ანტონიო" გუნდია, ანუ ადამიანების კრებული. მარცხი საუკეთესო საშუალებაა ამ ადამიანებს შორის ურთიერთობის გასაფუჭებლად. ჯერჯერობით საქმე აქამდე არ მისულა, მაგრამ...

ბოლოს და ბოლოს რისი თუ ვისი ბრალია ბოლო თამაშში მარცხი? მთავარ მიზეზად „სფურზის" 21 წლის ფრანგი გამთამაშებელი ტონი პარკერი სახელდება. სერიის პირველ სამ მატჩში პარკერმა საშუალოდ 21 ქულა და 5,3 პასი გაუხერხა ტეხასელებს, მაგრამ მეოთხე თამაში ჩააფლავა — 12 სროლიდან 11 გააფუჭა და შეხვედრა სამი ქულით დაამთავრა. წლევანდელ პლეი ოფში პარკერმა ერთადერთხელ ითამაშა უარესად, „დალასთან" კონფერენციის ფინალის ერთ-ერთ შეხვედრაში 5 სროლიდან ყველა ააცილა და ქულა არ გაუკეთებია, მაგრამ მაშინ ახალგაზრდა ფრანგს, საპატიო მიზეზი იცავდა, კუჭაშლილი თამაშობდა.

ახლა პარკერი არ თვლის თავს დამნაშავედ, ამბობს, უბრალოდ, სროლები არ წამივიდაო და ასე ეფარება რკინის ფარდას — ასეთი რამე ყველას მოსდისო, მაგრამ აბა, გუნდის ლეგენდარულ ვეტერანს დევიდ რობინსონს მოვუსმინოთ:

„ტონი ვალდებულია, თავი გააკონტროლოს და კარგად შეარჩიოს სროლები. მე არ ვაკრიტიკებ მას იმისთვის, რომ ბურთები ვერ ჩააგდო, მე მას არსასროლი ბურთების სროლისთვის ვაკრიტიკებ. ის ცუდი სათამაშო სიტუაციებიდან ისროდა, ლოგიკურიცაა, ის ბურთები რომ არ ჩავარდა."

ბრძენი კაცია დევიდ რობინსონი, იქნებ ყველაზე ნათელი გონების და ღრმა ინტელექტის მოთამაშე მთელ ნბა-ში და მდუღარე ახალგაზრდის ტვინის გახსნას ცდილობს.

„ტონიმ კარგად უნდა გააცნობიეროს, რამხელა როლს თამაშობს ის ჩვენს გუნდში. მე არ ვკიცხავ მას, მაგრამ ის ახალგაზრდა ბიჭია და ჯერ ბევრი აქვს სასწავლი. მე ვთხოვ მას და სხვა ახალგაზრდებს, რომ აგდებულად ნუ მოეკიდებიან იმ საქმეს, რომელსაც ჩვენ ყველანი ვაკეთებთ. ჩემი სურვილია, რომ ტონიმ ბოლომდე შეინარჩუნოს მუხტი და არ მიაფუჩეჩოს თავისი საქმე."

### ბაირონმა რა თქვა?

ფინალური სერიის პირველი თამაში — თუ გახსოვთ — „ნეთსმა" 12 ქულით წააგო. სწორედ მაშინ ჩათვალა ყველამ „ნიუ ჯერსი" განწირულ ფინალისტად. ბევრმა ბაქიაც კი უწოდა „ნეთსის" მწვრთნელ ბაირონ სკოტს, რომელიც ფინალამდე ჩემპიონობის შანსს ორმოცდაათი-ორმოცდაათზე აფასებდა და სხვებივით 80 პროცენტს არ აძლევდა „სან ანტონიოს". და აი, იმ წაგებიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე „ნიუ ჯერსიმ" ანგარიში 2:2 გაათანაბრა.



ბაირონ სკოტი, როგორც ყოველთვის იმედიანადაა

რა მოხდა? ეს როგორ მოახერხა „ნიუ ჯერსიმ"? ამაზე პასუხი თითქოს მოეძებება ბაირონ სკოტს, საშუალო თუ ოდნავ უკეთესი გუნდის ფინალში ზედიზედ ორჯერ გამყვან მწვრთნელს, რომელიც ყმაწვილი ბიჭის შთაბეჭდილებას ტოვებს.

სკოტი ამბობს — „აუცილებელია, კაცს მუშტი მოგხვდეს, რათა კარგის და ცუდის გარჩევა ისწავლო. უნდა წააგო, რომ მარცხის სიმწარე გაიგო და აღარ მოგინდეს მეორედ მსგავსი რამის განცდა. ეს მე ჩემი პირველი ფინალისას გავაცნობიერე, როცა 1984 წელს ჩემმა „ლეიკერსმა" „ბოსტონთან" წააგო და შემდეგ ეს მწვრთნელობაშიც გავაცნობიერე. საზიზღარი შეგრძნებაა, ყველაფერს აკეთებ, რომ აღარ განიცადო. ერთსაც გეტყვით, წაგებას მეტ-ნაკლებად თანაბრად განიცდიან მწვრთნელებიც და მოთამაშეებიც, მაგრამ პასუხი მწვრთნელებს უფრო მოეთხოვებათ. ჩვენ უფრო იოლი სამიზნე ვართ."

### შებორკილი ამერიკა

ნბა-ში ზონური დაცვის დაშვებამ სულ უფრო მიაახლოვა ევროპული და ამერიკული კალათბურთი. დაცვითმა სქემებმა თავისუფალი ამერიკა არტახებით შებოჭა და აი, შედეგი — ამ ფინალში ერთი გუნდი, „სან ანტონიო" თამაშში საშუალოდ 86,5 ქულას აგროვებს, ხოლო „ნიუ ჯერსი" იმდენსაც ვერა — 83,0. მხოლოდ ერთხელ შეძლო „სან ანტონიომ", 100 ქულაზე მეტი გაეკეთებინა, ეს მოხდა პირველ თამაშში. მას შემდეგ კი ერთმა ფინალისტმაც ვერ მოახერხა, 90-ს ასცდენოდა. შემტევი თამაშის მოყვარულები მეოთხე მატჩის ანგარიშზე (77:76) მიუთითებენ და ლამის ისტერიულად გაჰკივიან, ხალხო, კატასტროფის წინაშე ვდგავართო. მესამე თამაშში დამყარდა ნბა-ს ფინალების ანტირეკორდი — ორივე გუნდმა ჯამში მხოლოდ 63 ქულა მოაგროვა პირველ ტაიმში.

ახლა დარბაზებს მაყურებელი არ აკლია, მაგრამ რა იქნება მომავალში? ხომ შეიძლება, ხალხმა ზურგი აქციოს თამაშს, სადაც ბურთი არ ვარდება კალათში.

ბაირონ სკოტი ამ საკითხზეც გამოთქვამს თავის აზრს. ის მშვიდად ამშვიდებს — „ჩემს დროს, 80-იანებში, საერთოდ არ ვთამაშობდით დაცვას, მაგრამ კალათბურთი ხომ ვითარდება? რა მნიშვნელობა აქვს, თამაში 110:109 ანგარიშით დამთავრდება, თუ 77:76, კალათბურთის ჯანმრთელი სპორტული დაძაბულობა ორივე შემთხვევაში ახლავს."

**ირაკლი ფირცხვილი**





გამოცდილმა დევიდ რობინსონმა ყმაწვილი ტონი პარკერი დატუქსა

# შარლოტმა ფოცხვერი გაიშინაურა






შარლოტში ნბა-ს ახალდაარსებული კლუბი „შარლოტ ბობქეთსი" თანდათან ხორცს ისხამს. თავად სახელი, „ბობქეთსი" ამ ორი დღის წინ შეიძინა, ახლა კი ფერზეც მოვიდა ამ სიტყვის სრული გაგებით. კლუბმა გამოაქვეყნა ემბლემა, რომელიც, თავადაც ხედავთ, „ბობქეთი" ანუ ჩრდილოამერიკული ქლაქი ფოცხვერია. საკლუბო ფერადაც ცისფერ-ნარინჯისფერი დამტკიცდა. „ფოცხვერი ათლეტური, მებრძოლი და დაუმორჩილებელია და ეს სახელიც ამიტომ ავირჩიეთ — ამბობს კლუბის მფლობელი რობერტ, იგივე ბობი ჯონსონი (მის და კლუბის სახელს შორის სხვაობას თუ ამჩნევთ?) — ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ლოგო შარლოტელებს მოეწონებათ და ფოცხვერს სრულიად ქალაქის ახალ სიმბოლოდ მიიღებენ..."

შეგახსენებთ, რომ „შარლოტ ბობქეთსი", ნბა-ს 30 გუნდი, 2004 წლის შემოდგომიდან ჩაებმება რეგულარულ ჩემპიონატში.

# ჰიუიტი წკიპზე

### STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS

ლონდონი. ბალახი

საპრიზო 800 ათასი ევრო

#### მესამე წრე

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — დიკ ნორმანი (ბელგია) 7:6 (7:4), 3:6, 6:4; **ანდრე აგასი** (2, აშშ) — რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:1, 6:2; **ენდი როდიკი** (3, აშშ) — გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) 6:3, 4:6, 6:4; **ტაილორ დენტი** (აშშ) — სხენგ შალკენი (5, ჰოლანდია) 7:6 (8:6), 6:4; **სებასტიან გროჟანი** (6, საფრანგეთი) — ტოდ რიდი (ავსტრალია) 6:1, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (7, ბრიტანეთი) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 6:7 (5:7), 6:3, 6:3; **ქსავიე მალისი** (8, ბელგია) — მარკ როსე (შვეიცარია) 7:6 (7:4), 7:5; **ანტონი დიუპუი** (საფრანგეთი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 7:6 (7:3), 7:6 (8:6)

ტურნირის ზედიზედ სამჯერ ჩემპიონ ლეიტონ ჰიუიტს უკვე ორი წრეა მეტოქენი სამსეტიანად აწვალებენ.

22 წლის ოზბიჭს ჯერ პირველ წრეში ჰოლანდიელ სლოატერთან ნახევრადფინალი თითქმის არ შეშრობოდა, უზორბეს, 2 მეტრისა და 3 სანტიმეტრის სიმაღლისა, თუმცა კი უსახელო ბელგიელ დიკ ნორმანთან ჩახა-ჩუხი რომ მოუხდა.

ეს ბელგიელი ერთი ისე-რა ვინმე გახლავთ, მაგრამ უხვად მოიტანა და მხოლოდ სეტის მოწურულამდე კაცმა ვერ გაიგო, გადაურჩებოდა თუ არა მის [illegible] ამქრის პირველმეორეგე.

ყველაფერი გადამწყვეტი სეტის მე-9 გეიმში გაირკვა. ლეიტონმა თავის მოწოდებაზე წააგორა და მეტოქეს რამდენიმე ბრეიკპოინტი დაუთმო. ოღონდ — მისდა საბედნიეროდ — რამდენჯერაც დაუთმო, იმდენჯერ უკანვე წაიღო.

არადა, საქმე წაგებზე იყო — ნორმანს მისთვის გეიმი რომ წაეგლიჯა, 5:4 დაწინაურდებოდა და მერე თავადვე უნდა მოეწოდებინა.

აი, ლეიტონის ფსიქოლოგიურმა სიმტკიცემ და მაგრამ ხელზე ცქაფად მუშაობის უნარმაც სწორედ მაშინ გამოამჟღავნა. ვინაც რა უნდა ის თქვას, მაგრამ საბედისწერო ბრეიკპოინტების ასე ცივსისხლიანად და თანაც ასე ბასრად ჩოგნით აქარვა მის მეტს ვერავის ხელეწიფება...

ბარემ აქვე გეტყვით — მთელი მატჩის განმავლობაში ჰიუიტს 12-ჯერ დაუმტყდა ბრეიკპოინტი და ნორმანს მან აქედან მხოლოდ ერთი დაანება.

თუკი ბიჭები ოზბიჭის ქომაგებს წლევანდელ უიმბლდონზე რაიმის იმედი უნდა ჰქონდეთ, ეს უწინარესად სწორედ მისი გამძლეობა, უმტკიცესი ფსიქიკაა, რაიც გამხდარა ტენისურთა ავსტრალიელს ნორმანის დონე [illegible] ბიჭების ხილვისა.

„არა მგონია, უიმბლდონზე კიდევ მაინც ვინმე მოაწყობს სახარიო გართობას, მე არც მხოლოდ მოწოდებაზე [illegible] ბრაგუნის" — იძახდა [illegible] და — დიახ, ღმერთო — მართალიც იყო.

აქვე გეტყვით, რომ მისთვის ეს 50-ე საბალახო გამარჯვება გახლდა.

სხვაგვარად — თავის 100-ე [illegible] გამარჯვებით მოიგვირგვინა ანდრე აგასიმ. მან ამ დღეს უიმბლდონის ოდინდელი ჩემპიონი, რიხარდ კრაიჩეკი მოიშორა.

მორიგი მატჩი, მაგრამ გამარჯვებული ბრძოლა გადაიტანა ბრიტანელთა იმედმა ტიმ ჰენმანმა. სანაცვლოდ — წააგორდა მეორე ბრიტმა, ორი ოპერაციის შემდეგ კორტს ახლახან მობრუნებულმა გრეგ რუზეცკიმ.

რუზეცკი მეხამე ნომრად განთესილ ენდი როდიკს, მასხავით უსწრაფესი მოწოდების მქონე ამერიკელს ელავა და — ანგარიშზეც დაეტყობათ — ღირსეულად იძლია.

**ლევან კელაურაძე**

### GERRY WEBER OPEN

ჰალე. ბალახი

საპრიზო 800 ათასი ევრო

#### მეორე წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 4:6, 6:2, 6:1; **იუნეს ელ აინაუი** (5, მაროკო) — ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 6:3, 6:3; **არნო კლემანი** (8, საფრანგეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:4, 6:2; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 6:3



ახალი დროის მხატვრის თვალით დანახული ძველი დროის ეტლთა სრბოლა რომის ცირკუს მაქსიმუსის სარბიელზე

# ცხენები, ეტლები და ცრუ ოლიმპიადის ცრუ ოლიმპიონიკი

*ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებზე და მის მსგავს სხვა ასპარეზობებზე ძალზე მკაცრ, დაუნდობელ სახეობად ითვლებოდა პანკრატიონი, რასაც დღეს გვაგონებს ბრძოლა წესების გარეშე, მაგრამ წინათ არანაკლებ სახიფათო სახეობა იყო ეტლებით რბოლა. ამ სახეობაში და მასთან ერთად დოლში ანტიკურ ასპარეზობებში ძალზე საინტერესო იყო გამარჯვებულის გამოვლენის საკითხი. ცხენოსანთა შეჯიბრებები მუდამ არისტოკრატულ სახეობად ითვლებოდა, რაკილა ძვირადღირებულ ბედაურთა შენახვა და მოვლა-პატრონობა მხოლოდ მდიდართა წილხვედრი იყო. მათი ბედაურები ოლიმპიაში 720 მეტრი სიგრძისა და 320 მეტრი საგანის დიდებულ იპოდრომზე ასპარეზობდნენ, მაგრამ გამარჯვებულად მხედარი და მეეტლე კი არა, ცხენების პატრონი ცხადდებოდა. ამიტომაც ხშირად ბედაურთა მფლობელები შეჯიბრებაში მონაწილეობით თავს არც იწუხებდნენ, მით უმეტეს, რომ ეს საქმე მეტად სახიფათო იყო.*



ნერონი — ცრუ ოლიმპიადის ცრუ ოლიმპიონიკი

**ასპარეზობის** მონაწილენი ყველანაირად ცდილობდნენ გამარჯვებას და მიზნის მისაღწევად არც მოწინააღმდეგის ეტლის გადაბრუნებას ერიდებოდნენ, რაც ზოგჯერ მეეტლის მძიმე დაშავებით და სიკვდილითაც კი თავდებოდა. მათ ხიფათი ძირითადად მოსახვევში ელოდათ, სადაც ეტლები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ.

ეტლებით რბოლის ხიფათიანობაზე მეტყველებს ერთი ისტორია, რომელიც გვამცნობს, რომ ძვ. წ. 462 წელს დელფურ თამაშებზე 40 მონაწილიდან ცოცხალი ერთადერთი მეეტლე დარჩა.

ასეთი დიდი მსხვერპლი ოლიმპიას იპოდრომს არ ახსოვს, მაგრამ ტრაგედიები აქაც დატრიალებულა. აქ იყო საგანგებო გასასვლელი, რომელსაც „მწუხარების კუტიკარს" უწოდებდნენ, იქიდან კი დასახიჩრებული ან სულაც დაღუპული მეეტლეები გაჰქონდათ.

ამიტომაც იყო შემთხვევები, როცა ბედაურთა პატრონები ოლიმპიადაზე საერთოდ არც ჩადიოდნენ და სასპარეზოდ მონებს აგზავნიდნენ. გამარჯვების შემთხვევაში მონები ფულით ჯილდოვდებოდნენ და ზოგჯერ თავისუფლებასაც იღებდნენ, რამაც პროფესიონალიზმს დაუდო სათავე. ასეთი ის[illegible]ოდები ოლიმპიადების დაღმავლობისას გაჩნდა, როცა საბერძნეთი რომის იმპერიას დაექვემდებარა.

ამის მერე ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი გააფთრებით იბრძოდნენ ისინი გამარჯვებისა და თავისუფლებისთვის, მათი პატრონები კი გამარჯვებულის გვირგვინს იღებდნენ. მათ შორის იყო, მაგალითად, რომის იმპერატორი ტიბერიუსი.

და როგორ მოხვდა რომაელი ოლიმპიურ თამაშებზე, რომლებზეც ბარბაროსებს გამოსვლის უფლებას არ აძლევდნენ? მას მერე, რაც რომაელებმა საბერძნეთის ქალაქები დაიპყრეს, ელინებს მათ მონაწილეობა-არმონაწილეობის აღარავინ ეკითხებოდა. ამით აიხსნება ის რომ ოლიმპიურ თამაშებს ამის მერე ჰყავს სხვა გამარჯვებული ბარბაროსები, მათ შორის რომაელებიც, თვით იმპერატორებიც და რომის იმპერიაში შემავალი სხვა კოლონიების წარმომადგენლები, მათ შორის



ცირკუს მაქსიმუსის სარბიელი, რომელიც 150 000 მაყურებელს იტევდა

სომხეთის მომავალი მეფე ვარაზდატი, რომელმაც კრივში უკვე ჩვ. წ. 369 წელს გაიმარჯვა, როცა ოლიმპიური თამაშები მწვავე დაღმასვლას განიცდიდა და მისი აღსასრულიც ახლოვდებოდა.

ოლიმპიურ ჩემპიონად ითვლებოდა ნერონიც, რომელიც იპოდრომზე თავისი მშვენიერი ცხენებშებმული ეტლით გამოვიდა, მაგრამ ამ დედისა და ძმის მკვლელის შიშით მასთან მეტოქეობა ვერავინ გაბედა.

ამბობენ, მიუხედავად იმისა, რომ ნერონს ერთი მოწინააღმდეგეც არ ჰყავდა, ეტლიდან ორჯერ გადმოვარდა, მაგრამ, როგორც იქნა, ფინიშამდე მაინც მიაღწია და თავზე „გამარჯვებულის" გვირგვინიც დაიდგა.

ისიც უცნაური იყო, რომ ნერონმა 67 წელს მოისურვა ასპარეზობა, როცა 221-ე თამაშები ორი წლის დამთავრებული იყო, ხოლო მომდევნომდე ამდენივე რჩებოდა. მაგრამ დიქტატორს, აბა, წინ რაღა დაუდგებოდა. ისიც ადგა და ოლიმპიას უზარმაზარი ჯარით ესტუმრა, იქ ჩასულმა ასპარეზობის გამართვა ბრძანა. ბოლოს, „გამარჯვების" მერე, იქ აღმართული ყველა ოლიმპიონიკის ანუ ჩემპიონის ძეგლი დაამხო და საკუთარი აღმართა, შინ კი 500 ბრინჯაოს ქანდაკება წაიღო.

საგონებელში ჩავარდნილმა მემატიანეებმა გამოსავალი მონახეს, ადგნენ და ეს გაუთვალისწინებელი ოლიმპიადა განვლილ, 221-ე თამაშებს მიაწერეს.

ამ ამბიდან ერთი წლის მერე მოთმინების ფიალაავსებულმა რომის სენატმა ვაჟკაცობა მოიკრიბა და 30 წლის ნერონი გადააყენა. ქალის როლების შემსრულებელმა იმპერატორყოფილმა კაცურად თავის მოკვლა გადაწყვიტა, მახვილი კისერზე მიიდო, მაგრამ ვაჟკაცის როლს მიუჩვეველმა მხოლოდ გაკაწვრა მოახერხა. კიდევ ერთი სირცხვილისგან იგი იქვე მდგარმა მონამ იხსნა და მახვილი აძგერა.

ისტორიამ ნერონს საკადრისი მიუზღო, მის მიერ გამართულ ასპარეზობასაც თავისი ადგილი მიუჩინა და რიგგარეშე და ცრუ ოლიმპიადა უწოდა, თავად ნერონიც ცრუ ოლიმპიონიკად მონათლეს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ოლიმპიადებს, სადაც გამარჯვებულის გამოვლენის უჩვეულო წესი იყო დოლშიც, სადაც იმდროინდელი მხედრები არც უზანგებს და არც უნაგირს არ ხმარობდნენ: ამიტომაც ასპარეზობისას მხედრები ზოგჯერ ცხენიდან ვარდებოდნენ.

ამასთან დაკავშირებით პავსანია ცხენოსანთა პირველი (ძვ. წ. 648წ.) შეჯიბრების შესახებ ძალზე საინტერესო შემთხვევაზე გვიამბობს:

„რბოლის დასაწყისში კორინთოელი ფეიდოლის ფაშატმა თავისი მხედარი უნებლიედ გადმოაგდო. ამის მიუხედავად ცხენმა, როგორც წესი და რიგი იყო, რბოლა განაგრძო, ბოძთან მობრუნდა და, საყვირების ხმის გაგონებისთანავე, მთელი ძალით გაჭენდა, ელანოდონიკებთან პირველი მიიჭრა და, რომ მიხვდა, გავიმარჯვეო, გაჩერდა. ელინელებმა გამარჯვებულად ფეიდოლი გამოაცხადეს და თავისი ფაშატისთვის ძეგლის დადგმის უფლებაც მისცეს".

ცხენოსანთა შეჯიბრების პარადოქსია ისიც, რომ მათ ჰყავთ ჩემპიონი ქალიც, სპარტანელი ცინიზეა, რომელიც კვადრიგებით რბოლაში ოლიმპიონიკად ითვლება. თუმცა, ოლიმპიადებზე, როგორც ვიცით, ქალებს არათუ მოასპარეზეთა, მაყურებელთა შორისაც კი არ უშვებდნენ, ცინიზეას წარმატება კი იმით აიხსნება, რომ ცხენოსნობაში გამარჯვებულად არა უშუალოდ ასპარეზობის მონაწილე ცხადდებოდა, არამედ ბედაურის პატრონი. ასეთი შეიძლებოდა კაციც ყოფილიყო და ქალიც.

**ავთანდილ გურასაშვილი**

# ცხოვრება ასეა, ხან აპარდებით, ხანაც...

## შვედური საღამო კანადაში

**ერთი წლის** წინ ამას ვერავინ წარმოიდგენდა. 2001 წლის ზაფხულში კოლორადოელმა პეტერ ფორსბეგმა ელენთა რომ ამოიჭრა, ჰოკეი ვიღას ახსოვდა, მისი გადარჩენა იყო სათუო. შვედმა კი მძიმე სარეაბილიტაციო პერიოდის შემდეგ შარშანდელ პლეი ოფამდე შეძლო გამოჯანმრთელება, წლევანდელი სეზონი კი სულაც საუკეთესო იყო მის კარიერაში — 106 ქულით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 12 ივნისს ტორონტოში გამართულ საგანგებო ცერემონიალზე პირველობის უძვირფასესი მოთამაშისთვის განკუთვნილი **„ჰარტ ტროფიც“** მიიღო და ბომბარდირის **„არტ როს ტროფიც“** შეიმატა.

„დღეს ნამდვილად ბედნიერი ვარ. სიმართლე გითხრათ, ცოტა მოულოდნელიც კია ასეთი აღიარება. დიდი პატივია ჩემთვის, დიადი გრეცკისა და ლემიეს გვერდით რომ მომიხსენიებენ. ისე, ამ ორ ჯილდოს სიამოვნებით გავცვლიდი ერთ სტენლის თასზე“ — გახარებულმა შვედმა საკმაოდ მოკრძალებით და გულახდილად ილაპარაკა.



პეტერ ფორსბერგი თავისი ორი პრიზით

საზოგადოდ, მომავალი ლაურეატების გამოცნობა საკმაოდ ძნელია ხოლმე, მაგრამ წლეულს ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. ფორსბერგის მთავარი კონკურენტი, ვანკუვერის კაპიტანი მარკუს ნესლუნდიც სეზონის უძვირფასესი მოთამაშე გახდა, ოღონდ არა ჟურნალისტების, არამედ მოთამაშეთა ასოციაციის გადაწყვეტილებით. მან **„ლესტერ ბ. პირსონ ავარდი“** მიიღო. ამით, ფაქტობრივად, იმას გაესვა ხაზი, რომ ორივე თითქმის ერთნაირად იმსახურებდა გამორჩევას, ოღონდ ფორსბერგი ოდნავ უკეთესი იყო და ამიტომაც უფრო პრესტიჟული პრიზი მიენიჭა.

„ჰარტ ტროფის“ მესამე მაძიებელიც არ დარჩა ხელცარიელი. ნიუჯერსელი მარტინ ბროდო სეზონის საუკეთესო მეკარედ აღიარეს და **„ვეზინა ტროფის“** მფლობელი გახდა. ეს ბროდოს პირველი ინდივიდუალური პრიზიცაა, რადგან ბოლო წლებში ის დომინიკ ჰაშეკის ჩრდილში იყო.

„ხალხი ყოველთვის მეკითხებოდა, ნუთუ ვეზინა არ გაქვსო. როგორც იქნა, მეღირსა. აქამდე ხომ ჰაშეკი იმდენად დომინირებდა, რომ მას ვერაფრით აჯობებდი“ — განაცხადა ბროდომ ცერემონიაზე.

ამ სეზონში სხვებზე მეტად შვედებმა გამოიჩინეს თავი, მაგრამ თუ „ჰარტ ტროფი“ და „ლესტერი“ სკანდინაველებისთვის უცხო ხილია (ისტორიაში პირველად მოიგეს), საუკეთესო მცველისთვის განკუთვნილ **„ნორის ტროფის“** ისევ ერთი ვიკინგმა, დეტროიტელმა ნიკლას ლიდსტრიომმა ირგუნა. შვედი ზედიზედ მესამედ აღიარეს საუკეთესოდ თავის ამპლუაში და ვერც სენტლუისელმა ელ მაკინისმა გაუწია კონკურენცია და ვერც დალასელმა დერიან ჰეჩერმა.

„სხვათა შორის, მეგონა, ელი გაიმარჯვებდა. კრის პრონგერის არყოფნაში მან საუცხოო სეზონი ჩაატარა“ — ნიკლასი ყოველთვის მოკრძალებულია, მაგრამ ამჯერად ცოტა გადააჭარბა.

შვედების ტრიუმფი უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, ლიდსტრიომის თანაკლუბელი ჰენრიკ ზეტერბერგი საუკეთესო ახალბედა რომ გამხდარიყო. 22 წლის შვედმა სეზონი ჩინებულად ჩაატარა, განსაკუთრებით მეორე ნაწილი, 44 ქულით დებიუტანტებში გამოირჩა და თვით ბრეტ ჰალს გაუწია ღირსეული პარტნიორობა, მაგრამ სენტლუისელმა ბარეტ ჯეკმენმა მაინც უფრო ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა. 19 წლის ბიჭმა პრონგერი ისე შეცვალა, რომ გუნდის უკანა ხაზი სულაც არ დაზარალდა. სხვათა შორის, ჯეკმენი ბოლო 14 წლის განმავლობაში მხოლოდ მეორე მცველია, რომელსაც **„კოლდენ ტროფი“** ერგო.

დანარჩენი პრიზებიც ფრიად დამსახურებულ მოთამაშეებს ერგოთ. დალასელმა იერე ლეჰტინენმა წლეულს კიდევ უფრო გაიმყარა დაცვაში მარჯვე ფორვარდის რეპუტაცია და **„ფრენკ ჯ. სელკე ტროფი“** მესამედ დაისაკუთრა. მან ნიუჯერსელ ჯონ მედენს გაუსწრო.

საუკეთესო მწვრთნელისთვის განკუთვნილი **„ჯეკ ადამს ტროფი“** მინესოტელ ჟაკ ლემერს მიაკუთვნეს. 1995 წელს ნიუ ჯერსისთან ერთად თასის აღების შემდეგ ლემერმა კიდევ ერთი ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბა. დებიუტანტმა მინესოტამ სულ რაღაც სამი სეზონის განმავლობაში თასის ფინალს უწია მაშინ, როცა გუნდის ბიუჯეტი ერთ-ერთი წირია ლიგაში. ლემერის მთავარი კონკურენტი ტამპელი ჯონ ტორტორელა გახლდათ.

სეზონის მთავარ ჯენტლმენად ტორონტოელი ალექსანდრ მოგილნი აღიარეს, რომელმაც თვით ლიდსტრიომს აჯობა, ვინც უკვე მეხუთედ იყო **„ლედი ბინგ მემორიალ ტროფის“** მაძიებელთა შორის, მაგრამ ჯერ ერთხელაც არ მოუგია. მოგილნი არც ჩასულა ტორონტოში, ვიცი, პრიზს მაინც არ მომანიჭებენო.

დეტროიტელ სტივ აიზერმანს ჰოკეისადმი ერთგულებისა და ვაჟკაცობისთვის **„ბილ მასტერტონ ტროფი“** ერგო, ხოლო მისმა მრავალწლიანმა პარტნიორმა ბრენდან შენაჰანმა **„კინგ კლენსი მემორიალ ტროფი“** მიიღო. ბრენდანი მეხანძრის შვილია და მან თავისი პროგრამა შეიმუშავა, რომლის მიხედვით ქალაქში ხელმოკლე ოჯახების სახლებში ბოლის დეტექტორები დააყენეს, რაც ხანძრების ალბათობას მკვეთრად შეამცირებს. ჰოდა, ლიგამ შენაჰანს დაუფასა ქველობა.

ბოლოს იმ პრიზიორებზე, რომლებიც სტატისტიკური შედეგების მიხედვით ჩემპიონატის შემდეგვე გამოვლინდნენ. უკვე ითქვა, რომ ფორსბერგი, როგორც სეზონის საუკეთესო ბომბარდირი, „არტ როსის“ მფლობელი გახდა. მისი პარტნიორი მილან ჰეიდუკი საუკეთესო მეგოლე აღმოჩნდა, თან ერთადერთია, ვინც 50-შაიბიან ნიშნულს უწია და შედეგად **„მორის რიშარ ტროფი“** მიიღო. **„ჯენინგს ტროფი“** კი, რომლითაც იმ გუნდის მეკარეებს აჯილდოვებენ, რომლებმაც სეზონში ყველაზე ნაკლები შაიბა გაუშვეს, ფილადელფიელებმა — რომან ჩეხმანეკმა და რობერტ ეშმა, აგრეთვე ნიუჯერსელმა მარტინ ბროდომ გაიყვეს.

ფორსბერგმა და ჰეიდუკმა თავის მხრივ **„ბადლაით პლას-მაინას ავარდი“** გაიყვეს ნაყოფიერების საუკეთესო კოეფიციენტისთვის.

სეზონის საუკეთესო ექვსეულში, ეგრეთ წოდებულ „ოლ სტარში“ შევიდნენ: მეკარე მარტინ ბროდო, მცველები — ნიკლას ლიდსტრიომი და ელ მაკინისი, ცენტრფორვარდი პეტერ ფორსბერგი და გარემარბები — მარკუს ნესლუნდი და ტოდ ბერტუცი (ვანკუვერი).

**სამველ ღარიბიანი**



# კლიჩკო ლუისს კინოში უყურებს



ლენოქს ლუისი

**ლოსანჯელესური** ბრძოლის წინ ვიტალი კლიჩკო, რომელსაც მაინც აუსრულდა საწადელი და 21 ივნისს ლენოქს ლუისს შეხვდება, ან ვარჯიშობს, ან ფილმებს უყურებს.

ოთახში დახვავებულ კასეტებში ყველაზე საინტერესო უკრაინელისთვის ცნობილი „ოუშენის თერთმეტია“, რომელშიაც ბრედ პიტი, ჯორჯ კლუნი და ჯულია რობერტსი თამაშობენ და რომელშიაც არის საკრივო ეპიზოდი ლენოქს ლუისსა და კლიჩკო-უმცროსს — ვლადიმირს შორის.

ცხოვრებაში ლუის—კლიჩკო-უმცროსი ჯერ არ შემდგარა, ვიტალის კი ახსოვს, როგორ გაწვალდნენ გადაღების დროს ლენოქსი და უმცროსი ძმა.

„ის ნამდვილი ბრძოლა არ იყო, ყველაფერი ბარე ოცჯერ გამეორებინეს, არადა, საკრივო მოძრაობები ოსტატური იყო — ამბობს ვიტალი — ახლა ვალოდია მე მეხმარება, იმ გადაღებებიდან ბევრი რამ ახსოვს ლენოქსის მოძრაობებისა. ის კინო იყო, მაგრამ სტილი სტილია“.

ვიტალი კლიჩკოს თითქოს ციდან ჩამოუვარდა ლუისთან ჯახი. ლუისს კირკ ჯონსონთან უნდა ებრძოლა, მაგრამ ეს უკანასკნელი დაშავდა, ლენოქსმა ბრძოლის გადადება იუარა და თავისი მთავარი (ვბკ) ქამარიც დადო სასწორზე, უფროს კლიჩკოსთან ამას დავიცავო.

„ორკვირიანი მომზადება საკმარისი არ არის — ამბობს კლიჩკო, რომელსაც ლუის—ჯონსონის ანდერქარდში უნდა ეჩხუბა — მთელი ვარჯიშის მეთოდი შესაცვლელია. მაგრამ ლუისთან ჩხუბი ისეთი სასურველია, რომ ამას არ ვნაღვლობ“.



ვიტალი კლიჩკო

ვიტალი, რომელსაც ერთადერთი წაგება აქვს კარიერაში და 31 წლისაა, დიდად ეშურება ამ ბრძოლას. ის მარცხენა მხრის ტრავმის გამო მოუხდა სამი წლის წინ აწ ფედერაციის ჩემპიონ კრის ბერდთან. საერთოდ კი, კლიჩკოთა ოჯახური პრესტიჟი აღსადგენია — ვლადიმირმა ხომ სამარცხვინო ნოკაუტით დათმო ორგანიზაციის ჩემპიონობა კორი სანდერსთან.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# F1

**მერვე ეტაპი** **კანადის დიდი პრიზი**

## ჟილ ვილნევი

*მონრეალი, 15 ივნისი*



**ტრასის სიგრძე** ------------------------------------- **4.361 კმ**

**რბოლის დისტანცია** ---------------------- **70 წრე — 305.270 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 22 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 კულჰარდი (მაკლარენი); 3 ბარიკელო (ფერარი); 4 რაიკონენი (მაკლარენი) 5 ფიზიკელა (ჯორდანი); 6 ტრული (რენო)

**წრის რეკორდი:** 2002 — მონტოია (უილიამსი) 1:15.960 (206,7 კმ/სთ)

**ლეგენდარული** კანადელი მრბოლის, ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომი ხვალ 25-ედ უმასპინძლებს მთელ დუნიაზე ყველაზე პრესტიჟულ ავტოშეჯიბრს. კიდევ ათჯერ იქაური დიდი პრიზი „მოსპორტპარკზე“(8) და „მონ-ტრემბლანზე“(2) გათამაშდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ჟილმა მოიგო 1978 წელს მონრეალის ტრეკზე პირველი რბოლა. არა მხოლოდ კანადელი ფანების კერპი ჟილ ვილნევი ოთხი წლის შემდეგ ბელგიაში კვალიფიკაციისას დაიღუპა.

მამის სახელობის ტრასაზე შვიდჯერ გაჯირითების მიუხედავად, დღემდე ერთხელაც ვერ გაუმარჯვია 1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ჟაკ ვილნევს. მისი მონაგარი ერთადერთი მეორე ადგილი და საამისო ექვსი ქულაა. „ჟილ ვილნევის“ აბსოლუტური რეკორდსმენი კი ხუთგზის ტიტულიანი მიხაელ შუმახერია, რომელიც კანადაში სტატისტიკით ყოველ მეორე რბოლას იგებს და სხვა მაჩვენებლებითაც მეტოქეებზე იმდენად წინაა, რომ მისი მიღწევების გაუმჯობესებას, თუკი ამას ვინმე შეძლებს, იქნებ 10-15 წელიც არ ეყოს.

ხვალინდელ რბოლაშიც უმთავრეს ფავორიტად მიხაელი ითვლება და არა სატურნირო ცხრილის სათავეში მდგომი კიმი რაიკონენი, რომელიც „წითელ ბარონს“ ოთხი ქულით უსწრებს. შუმიც სწორედ „თავის ტრეკზე“ აპირებს „ყინულისკაც“ ფინელისთვის ლიდერობის ჩამორთმევას: „მონრეალის საკმაოდ ჩქაროსნულ ტრასაზე გადამწყვეტია ძრავის სიმძლავრე და საბურავების საიმედოობა. ჩვენ ეს ყველაფერი გვაქვს და ამიტომაც მეიმედება, რომ ბოლოს და ბოლოს კიმის უკან ჩამოტოვებას შევძლებ.“

დიდ გულზეა მეორე ფერარელი რუბენს ბარიკელოც. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელი პილოტი შუაწელს მიტანებული სეზონის ლიდერს 21 ქულით ჩამორჩება, მაინც რიხიანად აცხადებს, ჯერ არაფერია დაკარგული, ნამდვილი ჩემპიონატი სწორედ კანადაში დაიწყება და ნახეთ, რას ვიზამო.

ბოლოს იმაზეც, რომ წინა, მონაკოურ ეტაპზე ვარჯიშისას მძიმედ ნაავარიებ ჯენსონ ბატონს (BAR) ექიმები ისევ სიფრთხილეს ურჩევენ, იქნებ კანადური ეტაპიც გამოტოვოო. 23 წლის პილოტი კი თავისაზე დგას, თავს ჩინებულად ვგრძნობ და რბოლაში აუცილებლად უნდა გამოვიდეო. ვნახოთ, გადამწყვეტი სიტყვა მაინც მკურნალებზეა.

## კანადური არქივი

| მრბოლი | ქვეყანა | მოგება | პოდიუმი | ქულა | პოული | რბოლა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | 5 | 8 | 70 | 6 | 11 |
| ნელსონ პიკე | ბრაზილია | 3 | 5 | 46 | 3 | 13 |
| ალან ჯოუნსი | ავსტრალია | 2 | 2 | 21 | 1 | 7 |
| ჯეკი სტიუარტი | ბრიტანეთი | 2 | 2 | 21 | 2 | 7 |
| აირტონ სენა | ბრაზილია | 2 | 2 | 20 | 3 | 9 |
| ჟაკ იქსი | ბელგია | 2 | 2 | 18 | 1 | 8 |
| ალენ პროსტი | საფრანგეთი | 1 | 5 | 34 | 2 | 12 |
| ჟან ალეზი | საფრანგეთი | 1 | 5 | 28 | - | 12 |
| დენის ჰალმი | ზელანდია | 1 | 3 | 23 | - | 8 |
| ჟილ ვილნევი | კანადა | 1 | 3 | 21 | - | 5 |
| ჯოდი შექტერი | ს. აფრიკა | 1 | 2 | 21 | - | 7 |
| დეიმონ ჰილი | ბრიტანეთი | 1 | 3 | 20 | 1 | 7 |
| მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 1 | 2 | 19 | - | 10 |
| ნაიჯელ მენსელი | ბრიტანეთი | 1 | 2 | 16 | 1 | 12 |
| გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 1 | 1 | 16 | - | 13 |
| ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | 1 | 2 | 15 | 1 | 9 |
| ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | 1 | 2 | 15 | - | 4 |
| პიტერ რეუსონი | აშშ | 1 | 2 | 15 | - | 2 |
| რენე არნუ | საფრანგეთი | 1 | 1 | 14 | 1 | 10 |
| ტ[illegible]ერი ბუტსენი | ბელგია | 1 | 2 | 13 | - | 10 |
| რალ[illegible] შუმახერი | გერმანია | 1 | 1 | 13 | - | 6 |
| ჯეიმს ჰა[illegible]ტი | ბრიტანეთი | 1 | 1 | 12 | 1 | 5 |
| მიქელე ალბ[illegible]რეტო | იტალია | 1 | 1 | 9 | - | 11 |
| ჟაკ ლეფიტი | საფრანგეთი | 1 | 1 | 9 | - | 12 |
| ჯანკარლო ფიზიკელა | იტალია | - | 4 | 22 | - | 7 |
| რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | - | 3 | 18 | - | 10 |
| დევიდ კულჰარდი | ბრიტანეთი | - | 1 | 11 | 1 | 9 |
| ჟაკ ვილნევი | კანადა | - | 1 | 6 | - | 7 |
| კიმი რაიკონენი | ფინეთი | - | - | 6 | - | 2 |
| ოლივიე პანი | საფრანგეთი | - | - | 3 | - | 8 |
| ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | გერმანია | - | - | 3 | - | 8 |
| იოს ფერსტაპენი | ჰოლანდია | - | - | 2 | - | 5 |
| იარნო ტრული | იტალია | - | - | 2 | - | 6 |


REUTERS ვანკუვერიდან

# შვიდქალას წინ

ვანკუვერის სტენლი პარკში გაალმასებით ვარჯიშობს კანადის ქალ მორაგბეთა ნაკრები. კარსაა მომდვარი ჩრდილის თასი, რაგბის შვიდკაცა და შვიდქალა ტურნირი, რომელშიაც კანადის, ამერიკის და ინგლისის ორივე სქესის ნაკრებები მონაწილეობენ.


REUTERS აბუჯადან

# აჩხაკუნებს

კონფედერაციის თასის წინ, რომელიც საფრანგეთში გაიმართება ამ თვის მეორე ნახევარში, ბრაზილიის ნაკრები აფრიკაში ჩავიდა და ნიგერიის ქალაქ აბუჯას სტადიონზე 3:0 მოუგო იქაურ სუპერარწივებს. თამაში ბრაზილიელთათვის უფრო წავარჯიშების საშუალება იყო და მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირაც ლაღად აჩხაკუნებდა ფოტოაპარატს თამაშის წინ.


REUTERS ლისაბონიდან

# საევროპოდ

აი, ეს სტადიონი, „ბენფიკა ლუზ“, ძველი და ლეგენდარული, უკვე დაუნგრევიათ. ზედ მის გვერდით კი აშენდა ახალი „ლუზი“, რომელიც გაის ამდროს ევროპის ჩემპიონატის ფინალს უმასპინძლებს. საერთოდ კი, პორტუგალიაში რვა ახალი სტადიონი უნდა აშენდეს, ორი ძველი კი განახლდეს.

# გადევნებული

ბეისბოლში ასეა, რომ მფრინავ ბურთს გადევნებულმა კაცმა არც თავის დანდობა იცის და ვერც ძირს დაიხედავს. კანზასის „კაუფმან სთედიუმზე“ იქაური „როიალზის“ ბეისმენი კენ ჰარვი ისე გაედევნა არიზონელების დაკრულ ბურთს, რომ ყოველგვარ ტიხარს გადაევლო და იქიდან ათი წუთის შემდეგ ძლივს ამოიყვანეს.



REUTERS კანზას სიტიდან

# მონრეალის პრიზის წინ

ახლა მონრეალის საფორმულე დიდი პრიზის გათამაშებაა. კანადელი რბოლის მოყვარულნი, ცხადია, თავიანთ ჯილას, ჟაკ ვილნევს გულშემატკივრობენ. „ბარ ჰონდას“ პილოტი კი ავტოგრაფების დარიგებას ვერ აუდის.



REUTERS მონრეალიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი,
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლუაშვილი, ბადრი კვირალაძე
სტილისტები: ნათელა გრიგოლიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დეკაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge